# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 11 მარტი 2004 №54 (2073) ფასი 50 თეთრი


# საქართველოს ობლის კვერი გუშინ გამოცხვა

ALAIN GIRESSE



## ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი

გუშინ ალენ ჟირესმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალ კვირას თბილისში უკვე ეროვნული გუნდის მწვრთნელის რანგში ჩამოვა.

ჟირესის ხელმოწერილ კონტრაქტს ფეხბურთის ფედერაცია დღეს-ხვალ მიიღებს, იქამდე მწვრთნელი ფედერაციის პრეზიდენტს ესაუბრა და ნაკრების მწვრთნელობაზე ოფიციალური თანხმობა განუცხადა.

კონტრაქტის დეტალები, მათ შორის ფინანსური, არ ხმაურდება, როგორც მერაბ ჟორდანიამ გუშინდელი ინტერვიუსას გვითხრა, ეს საკითხი კონფიდენციალურია. ის კი ცნობილია, რომ წარმატებული მუშაობის შემთხვევაში ფედერაცია ჟირესს ვადას გაუგრძელებს.

ახლა ალენ ჟირესი მშობლიურ ტულუზში იმყოფება, თუმც საქმეს უკვე შეუდგა. თავის თანაშემწე გია გურულს გუშინვე საათნახევარი ესაუბრა. მწვრთნელმა საქართველოს ჩემპიონატისა და თასის კალენდარი მოითხოვა. მოგეხსენებათ, ჩემპიონატის მეორე ეტაპი 18 მარტს იწყება, 22-ში თასის მატჩებია, 26 მარტს კი მეორე ტური. ჟირესის სურვილია, რომ თბილისში მომავალ კვირაში ჩამოვიდეს და გერმანიის ახალგაზრულ ნაკრებთან 30 მარტის ამხანაგურ მატჩამდე ეროვნული გუნდის კანდიდატები საქმეში ნახოს. გია გურულის თქმით, გამორიცხული არაა, ჟირესმა ქართული გუნდების მწვრთნელთა რეკომენდაციებით მათი საუკეთესო ფეხბურთელები შეკრიბოს და ორმხრივი მატჩი ჩაატაროს. ეს საქმე ამ თვეში თუ არ გამოვა, ჟირესს თავის პროგრამაში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა რეგულარული შეკრება ერთ-ერთ პუნქტად აქვს შეტანილი და ამგვარი მატჩების მოწყობა მისთვის პრობლემური არ იქნება.

ჟირესს გერმანელ ახალგაზრდებთან მატჩისთვის კი უძლიერესი შემადგენლობის გამოძახება სურს, თუმც კობიაშვილისა და არველაძის ტრავმები მას ამის საშუალებას არ აძლევს. გუშინვე ჟირესმა „მონაკო" — „ლოკომოტივის" ჩემპიონთა ლიგის მატჩსა და მოსკოველთა ქართველ ლეგიონერებს უცქირა.

გუშინ საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში კიდევ ერთი გამორჩეული ამბავიც იყო. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიშელ პლატინი მიიღო და კარგა ხანს ესაუბრა.

კობა ინასარიძე



# რეალი მიდის!

## გერმანელები და ქუთაისელები ულიგოდ დარჩნენ




ზიდანის სული და სხეული ღმერთმა ფეხბურთის ლხენად და მეკარეების ჭირად შექმნა


რეალი — ბაიერნი. ქართული ქორწილივით თამაშის ბოლოს ჩხუბიც ატყდა

# ლიგის რჩეულში ვერც ბაიერნი ჩაეწერა



მილანი — სპარტა. შევამ მორიგი დუბლი შეავსრულა

# გოლის კურსი სან სიროზე: 4/1




არსენალი — სელტა. კავალიერომ ბერჰკამპს კინაღამ თავი წააცალა, კოლინას კი ვითომ არც დაუნახია

## ჩემპიონთა ლიგა
### 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები. გუშინ

*არსენალი (ლონდონი, ინგლისი)* 2:0 სელტა (ვიგო, ესპანეთი) (3:2)
1:0, 2:0 ანრი (14, 34)
არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ედუ (ჟილბერტო სილვა 70), პირესი (რეიესი 70), ანრი, ბერხკამპი (კანუ 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
სელტა: კავალიერო, ველასკო, სერხიო, კასერესი, სილვინიო (პ. კონტრერასი 21), ხოსე იგნასიო, ლუქსენი (ხესული 29), ოუბინია, გუსტავო ლოპესი (ვაგნერი 71), მოსტოვოი, პინილია
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: კონტრერასი (36, 74)
გაძევება: კონტრერასი (74)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
35 402 მაყურებელი

*მილანი (იტალია)* 4:1 სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) (0:0)
1:0 ინძაგი (45), 1:1 იუნი (59), 2:1, 3:1 შევჩენკო (66, 79), 4:1 გატუზო (85)
მილანი: დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 89), ნესტა, მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, შევჩენკო (რუი კოშტა 87), ინძაგი (ტომასონი 76)
*კახა კალაძე სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა (იუნი 57), შივოკი, მიხალიკი (ვ. გლუშკევიჩი 71), ატაინერი (პოლედიცა 88)
მწვრთნელი: ირჟი კოტრბა
გაფრთხილება: შივოკი (7), პერგლი (25), გატუზო (86)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
60 000 მაყურებელი

*მონაკო (საფრანგეთი)* 1:0 ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) (1:2)
1:0 პრსო (60)
*პრსომ ვერ გაიტანა პენალტი (18, მეკარე)*
მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, პრსო (პლასილი 90), ადებაიორი (სისე 77), მორიენტესი
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, სენიკოვი (გურენკო 65), ასათიანი, პაშინინი, ნიჟეგოროდოვი, ევსეევი, მამინოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი, ობიორა, აშვეთია (პარკსი 67)
მწვრთნელი: იური სიომინი
გაფრთხილება: პაშინინი (18), ლოსკოვი (19, 22), ასათიანი (23), პრსო (39), ბერნარდი (45), ობიორა (45), ევსეევი (60)
გაძევება: ლოსკოვი (22)
მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
20 000 მაყურებელი

*რეალი (მადრიდი, ესპანეთი)* 1:0 ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) (1:1)
1:0 ზიდანი (32)
რეალი: კასილიასი, სალგადო, მეხია, ელგერა, რაულ ბრავო, ფიგუ, ბექემი, გუტი (ბორხა 90), სოლარი (კამბიასო 90), ზიდანი, რაული
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
ბაიერნი: კანი, სანიოლი (სალიჰამიჯიჩი 67), კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი (შვაინსტაიგერი 46), დემიკელისი, ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ზე რობერტო (14), სალგადო (15), ლიზარაზუ (69)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
78 000 მაყურებელი

*„ჩელსი", „დეპორტივო", „ლიონი", „პორტუ",*
*„არსენალი", „მილანი", „მონაკო" და „რეალი"*
*ითამაშებენ მეოთხედფინალში.*
*წილისყრა ხვალ შვეიცარიულ ნიონში გაიმართება*


მონაკო — ლოკომოტივი. დადო პრსოს გოლში მალხაზ ასათიანს ბრალი არ ედო

### ინგლისი
I დივიზიონი
გადადებული მატჩი
სანდერლენდი 3:3 პრესტონი
II დივიზიონი
გადადებული მატჩი
ბრაიტონი 3:0 ტრანმერი

### შოტლანდია
I დივიზიონი
გადადებული მატჩები
ქუინი 1:2 კლაიდი
ბრეჩინი 1:1 რეითი
II დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტენჰაუზმური — არბროთი გადაიდო
III დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტირლინგი 6:1 ელგინი

### გერმანია
II ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
ობერჰაუზენი 0:0 მაინცი

### ავსტრია
მაქსბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
რაპიდი — კერნტენი გადაიდო

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩები
ბადენი 0:0 შო დე ფონი
ბულე — შაფჰაუზენი გადაიდო
დელემონი — სიონი გადაიდო

### სლოვაკეთი
I ლიგა. გადადებული მატჩი
ტრენჩინი 0:0 პეტრჟალკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**მანჩესტერ იუნაიტედი** (ინგლისი) 1:1 ***პორტუ** (პორტუგალია)* (1:2)
1:0 სქოულზი (32), 1:1 კოშტინია (90)
**მანჩესტერ იუნაიტედი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბრაუნი, ოში, ფლეტჩერი (კ. რონალდო 75; სოლსკიაერი 83), ჯემბა-ჯემბა (საჰა 46), ბათი, სქოულზი, გიგზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა (პედრუ ემანუელი 37), რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, ალენიჩევი (რ. ფერნანდეში 81), კოშტინია, მანიშე, დეკო სოუზა, მაკკარტი, კარლოს ალბერტო (იანკაუსკასი 61)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ფ. ნევილი (16), კოშტინია (22), სქოულზი (61), მანიშე (74), მაკკარტი (90)
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
67 029 მაყურებელი

## ხმალაობა დამთავრდა

### მაურინიუს ის უყვარს, რაც ფერგიუსონმა გააკეთა




REUTERS მანჩესტერიდან

ფრანსისკო კოშტინიამ მთელი მანჩესტერი დაალონა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნამ გააოგნა — „იუნაიტედი“ „ოლდ ტრეფორდზე“ „პორტუს“ პოლ სქოულზის გოლით 1:0-ს უგებდა და ორი მატჩის ჯამში მეოთხედფინალშიც გადიოდა, მაგრამ კოშტინიამ 90-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და ინგლისის ჩემპიონის ევროიმედიც იქ დასამარდა.

„ცხოვრებაში შოკი ხდება, მაგრამ ასეთი, დღეს რომ ვიწვნიეთ, არაფერი მინახავს — თქვა შოტლანდიელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე — ფეხბურთელები საშინელ დღეში არიან, რადგან მოედანზე მათ არასწორად და ცუდად არაფერი გაუკეთებიათ. ნამდვილად არ მგონია, რომ ამ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდი ფეხბურთი ვიხილეთ, მაგრამ რასაც პერიოდულად ვაკეთებდით, ძალიან კარგი იყო და მწამს, გამარჯვებას ვიმსახურებდით“.

ფერგიუსონის ასეთი გულდაწყვეტა გარდა აშკარა, თვალნათელი მიზეზისა, ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ „იუნაიტედს“ ამ სეზონში საიმედოდ მხოლოდ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასიღა დარჩა, თორემ ჩემპიონატში ის „არსენალის“ დამწევი აღარ ჩანს და ლიგიდან, როგორც ხედავთ, გავარდა.

და მაინც, სქოთი იხტიბარს არ იტეხს და მართალია თუ ტყუილი, ასე ამბობს:

„დამარცხების გამო გული მაშინ შეიძლება დაგწყდეს, როდესაც მოწინააღმდეგე გაჯობებს, ჩვენ კი დღეს მხოლოდ და მხოლოდ უიღბლობის გამო წავაგეთ. რაც მოხდა, იმის შემჩნევა და ამოკითხვა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ“.

„პორტუს“ შოკისმომგვრელი გოლი ასე გავიდა: „იუნაიტედის“ კარისკენ საჯარიმო ბენი მაკარტიმ დაარტყა, ბურთი ამერიკელმა მეკარემ ტიმ ჰოვარდმა ცუდად, პირდაპირ კოშტინიას წინ მოიგერია და მანაც იგი ბადეში შეაგდო.

„როდესაც მეკარემ ბურთი მოიგერია, მცველებს მყისიერი რეაგირება მართებდათ. მცველი თუ ხარ, უპირველესად სწორედ ეს გევალება“ — განმარტა ფერგიუსონმა, რომელმაც, სხვათა შორის, იქვე დასძინა, რომ ამ ეპიზოდის ტელეგამეორებების ნახვა სულაც არ მოუკლავს გულს.

რაც შეეხება სქოულზის მეორე გოლს, მსაჯმა იგი ოფსაიდის მოტივით არ ჩათვალა, არადა, იქ ოფსაიდი არ ყოფილა, ფერგიუსონმა ბრძანა:

„გულწრფელად რომ გითხრათ, არ მჯეროდა გოლს რომ არ თვლიდნენ. როდესაც ერთი ფეხბურთელი დგას უკან, დანარჩენები კი წინ არიან და ის ერთი გამოგრჩა, კიდევ მესმის, მაგრამ როდესაც ორი თუ სამი ფეხბურთელი დგას შეტევის უკან და ვერ ხედავ... არადა, გოლი რომ ჩათვლილიყო და ანგარიში 2:0 გამხდარიყო, ძალიან მოხერხებულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით“.



ალექს ფერგიუსონი

„მანჩესტერელთა“ პორტუგალიელი ყმაწვილი — ფორვარდი კრისტიანო რონალდო მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით, რადგან დაშავდა და გასვლა მოუხდა. კიდევ, ნეკნის გაბზარვის ეჭვით დატოვა „ოლდ ტრეფორდი“ ერიკ ჯემბა-ჯემბამ.

რაც შეეხება „პორტუს“ შეფს, ჟოზე მაურინიუს, იგი მეოთხედფინალში გასვლით, ბუნებრივია, აღფრთოვანებული გახლდათ და განაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ორ თამაშში ძლევა გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე შარშანდელი უეფას თასის ფინალში „სელტიკის“ ჯობნა.

41 წლის მაურინიუს სამწვრთნელო კარიერა მაშინ დაიწყო, როდესაც ლისაბონის „სპორტინგს“ სათავეში ბობი რობსონი ჩაუდგა, ხოლო იგი მის თარჯიმნად მუშაობდა.

შეგახსენებთ, რომ ამ ორი თამაშის განმავლობაში მასსა და ალექს ფერგიუსონს შორის სიტყვებით გვარიანი ხმალაობაც გაიმართა, თუმცა, როგორც ჩანს, დუელის დასრულებასთან ერთად ხმალაობაც დასრულებულია.

„ფერგიუსონმა გამარჯვება მოგვილოცა და ფეხბურთში სწორედ ეს მიყვარს ძალიან — მართალია, ხანდახან რაღაცეებს ვიგონებთ, მაგრამ საფინალო სასტვენთან ერთად ყველაფერი მთავრდება“.

**პაატუნა ძედია**

## ჩელსი უგოლოდ გაიპარა

***ჩელსი** (ლონდონი, ინგლისი)* 0:0 **შტუტგარტი** (გერმანია) (1:0)
**ჩელსი:** კუდიჩინი, ჯონსონი (დესაი 31), გალასი, ტერი, ბრიჯი, პარკერი (ჯერემი 61), მაკელელე, ლამპარდი, დაფი (მუტუ 83), კრესპო, გრონკიაერი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი (გომესი 80), ტიკოვიჩი, ბორდონი, ლამი, მეირა, სოლდო, მაისნერი (ტიფერტი 62), გლები, კურანი, კაკაუ (საბიჩი 40)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ჰინკელი (61)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
36 657 მაყურებელი

„ვფიქრობ, ორი კვირის წინ შტუტგარტში გაცილებით მშვიდად და უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე შინ. ბიჭები ამჯერად უფრო ღელავდნენ. ალბათ მეოთხედფინალი ელანდებოდათ და ამიტომ ნერვიულობდნენ. ვიცოდით, რთული მატჩი გველოდა და მეტოქე იოლად არაფერს დაგვითმობდა. ვერ მოვიგეთ, მაგრამ მთავარია, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ“ — თქვა კლაუდიო რანიერიმ.

„ჩელსი“ მეოთხედფინალში ფაქტობრივად, ფერნანდო მეირას გოლით გაძვრა. პორტუგალიელმა შტუტგარტულ შეხვედრაში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ორრაუნდიან ბრძოლაში გამარჯვებულის გამოსავლენად ეს საკმარისი აღმოჩნდა.

„არისტოკრატებმა“ შინ ზედიზედ მესამედ ვერ მოიგეს. ჯგუფურ ეტაპზე „ბეშიქთაშს“ და „სპარტას“ ვერ გაუტანეს, „შტუტგარტსაც“ ასევე უგოლოდ დაშორდნენ. სამაგიეროდ, სტუმრად კარგი თამაშის წყალობით წინ მიიწევენ.

მოკლედ, „ჩელსი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალს ოთხწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დააჭაშნიკებს.

ფელიქს მაგათი, ცხადია, დაღონებული იყო: „თანაბარძალოვანი მეტოქეების თამაშში „ჩელსი“ უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. დასანანია, რომ ორმატჩიანი ბრძოლის ბედი საკუთარ კარში ჩაჭრილმა ერთმა ბურთმა გადაწყვიტა. ჩვენ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს და წარმატებას მომავალში აუცილებლად მივაღწევთ. საამისოდ კი ნიჭი გოლებში უნდა აისახოს“.

„სტემფორდ ბრიჯზე“ მეტოქეები ძალიან ფრთხილობდნენ. ეს მოსალოდნელიც იყო. ნაადრევად თავის ატკიება არავის სურდა. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთის შეცდომებს ჩაუსაფრდნენ, მაგრამ ორივე გუნდის მცველები მოერიშეებს გამართულად უმკლავდებოდნენ.

საჯარიმოში შეუღწევლობის გამო, ფეხბურთელებმა შორიდან დარტყმები გამოიყენეს. ამ მხრივ, „ჩელსის“ „შტუტგარტმა“ აჯობა. გერმანელებმა გაცილებით მეტჯერ მოსინჯეს კარლო კუდიჩინის ოსტატობა, ვიდრე „არისტოკრატებმა“ ჰილდებრანდის.

დამხვდურთაგან თამაშს მოწყურებული დემიენ დაფი გამოირჩეოდა. მარცხენა ფლანგიდან უტევდა და პირველ ტაიმში ერთხელ სტუმართა მეკარეს სახიფათოდ დაურტყა. ირლანდიელმა გამოზომილი პასით ერნან კრესპოს თავიც მოძებნა, მაგრამ არგენტინელმა მომენტი ვერ გამოიყენა.

შესვენებამდე „ჩელსის“ მარჯვენა მცველი გლენ ჯონსონი დაშავდა. უწყინარ ვითარებაში კოჭი იტკინა და შეცვალეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგაში სკოტ პარკერის დებიუტი შედგა. პარკერი გასულ ზამთარს „ჩარლტონიდან“ გადაიყვანეს.

იმრე საბიჩით უკმაყოფილო ფელიქს მაგათიმ უნგრელი ძირითად შემადგენლობაში არ გაამწესა. მის ნაცვლად მოთამაშე ბრაზილიელი კაკაუ კი აშკარად უფხოდ გამოიყურება და პირველი ტაიმის მიწურულს მაგათიმ კაკაუს ისევ საბითი ამჯობინა. უნგრელმა შესვლისთანავე კარში დარტყმა მოახერხა და „შტუტგარტის“ შეტევები გააუმჯობესა.

როგორც წესი, ასეთ მატჩებში თამაში ბოლო წუთებამდე არ იხსნება. სტუმრებს გოლი სჭირდებოდათ და შეხვედრის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე მეტოქის ნახევარზე დიდი ძალებით გადავიდნენ.

„ჩელსის“ შეეძლო, კონტრშეტევებით ეხეირა და ადრიან მუტუს ორი ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდა, მაგრამ რუმინელმა ტიმო ჰილდებრანდს ერთხელაც ვერ აჯობა.

**ვაჟა ხუციშვილი**




REUTERS ლონდონიდან

ერნან კრესპო ბურთს ასცდა, ბურთი „შტუტგარტის“ კარს

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ბებერი ქალბატონის ბებერი კაცები

**იუვენტუსი (ტურინი, იტალია) 0:1 დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი) (0:1)**
0:1 პანდიანი (12)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ფერარა, ლეგროტალიე, მონტერო, კამორანეზი (ზოგმიერეტო 70), ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო (მიკოლი 8), დი ვაიო
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
**დეპორტივო:** მოლინა, სკალონი, ჟორჟე ანდრადე, ნაიბეტი, კაპდევილა, ვიქტორი, მაურო სილვა, სერხიო, ვალერონი (დუშერი 78), პანდიანი (ტრისტანი 82), ლუკე (ფრანი 62)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ტაკინარდი (8), ფერარა (55), ვიქტორი (69), მაურო სილვა (74), მონტერო (75)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
24 000 მაყურებელი


REUTERS ტურინიდან
„დეპორტივოსთან" პაველ ნედვედიც ვერ გახდა ვერაფერს

**თამაშამდე** ერთი-ორი თვით ადრევე იყო ცნობილი, რომ „იუვენტუსი" თავს აღარ ჰგავს და დაცვაში განსაკუთრებით უჭირს.

თამაშმდე ერთი-ორი დღით ადრევე გახლდათ ცნობილი, რომ ტურინელებს მთავარი გუნდის მხოლოდ თოთხმეტი ფეხბურთელი ჰყავდათ ჯანმრთელად ან დისკვალიფიკაციის გარეშე. ასე რომ, შეხვედრის განაცხადში პრიმავერას (კლუბის მეორე, ახალგაზრდა გუნდი) სამი მოთამაშის, ოცი წლის ვიქტორ ბუდიანსკის, დავიდე კუმიენტოს და რაფაელე პალადინოს ყოფნა მოულოდნელი არ გახლდათ. ამათგან თავდამსხმელი კუმიენტო (თავდამსხმელია პალადინოც, ხოლო უკრაინელი ბუდიანსკი ნახევარმცველია) მოედანზე შევიდა კიდეც.

და თამაშის მეშვიდე წუთზევე გახდა ცნობილი, რომ „ბებერ ქალბატონს" იმ დღეს კარგი დღე არ ელოდა. რაზე შეეტყო? იმაზე, რომ მარცხენა ფრთიდან შეტევის დროს კაპიტანს, ალესანდრო დელ პიეროს ფეხი ეტკინა და შეცვლა მოითხოვა. შეცვალეს კიდეც ფაბრიციო მიკოლით.

ორიოდ სიტყვით დელ პიეროზე: ცხადია, ადამიანს არ უნდა უსაყვედურო, ფეხი რატომ გეტკინაო, მაგრამ დიდი საფეხბურთო პიროვნებები და ვარსკვლავები ისტორიას გმირული მაგალითებით შემორჩებიან ხოლმე. დელ პიეროს ამ მხრივ არ უმართლებს. ადამიანს უნებურად გახსენდება 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მაინცდამაინც ფინალაში ვერგატანილი ორი ისეთი გოლი, როგორიც მას მრავალჯერ გაუტანია, აგერ ტრავმა მაინცდამაინც იმ მატჩში, რომელშიც მის გუნდს გაუჭირდა, ქვა ალმართში გამოეკიდა და სხვა.

ერთი სიტყვით, დელ პიეროს იღბალმა ზურგი აქცია, ხოლო მის ნაცვლად შესული მიკოლი... მხოლოდ და მხოლოდ მიკოლია, მეტი არაფერი.

ასე და ამგვარად, მე-12 წუთზე უკვე ყველაფერი ნათელი გახდა: „იუვეს" ბებერმა დაცვამ მოსალოდნელი შეცდომა დაუშვა, რითაც ურუგვაელმა ვალტერ პანდიანიმ ისარგებლა და გოლი შეაგდო. სხვათა შორის, შეცდომა, რომელმაც პანდიანის გოლის გატანის საშუალება მისცა, უპირველესად მისი თანამემამულის, პაოლო მონტეროს ბრალი გახლდათ.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსის" გვარიანად დაბერებული მცველების, მონტეროს, ჩირო ფერარასა და ლილიან ტურამის მხარდამხარ თამაშობდა ახალგაზრდა ნიკოლა ლეგროტალიეც, მაგრამ იმ დღეს ლეგროტალიე უფრო „დეპორტივოს" თავდამსხმელს ჰგავდა.

ყველაფერთან ერთად გაილაღა (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) სლოვაკმა თანამსაჯმაც, რომელმაც ოფსაიდის აღსანიშნავად ერთხელ აწეული ალამი ცოცხალი თავით აღარ დაუშვა. არადა, რამდენიმე მწვავე ეპიზოდში (ყოველ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერის მტკიცებით) ალამი დასაწევი იყო, თუმცა ვფიქრობთ, ამით ბევრი არაფერი შეიცვლებოდა. საეჭვოა „იუვენტუსი" ასე ერთი ალმის წყალობით ძველებურად ათამაშებული იყო. ამ გუნდს, ვეჭვობთ, რაღაც უფრო სერიოზული სჭირს.

არადა, სტატისტიკა მეტყველებს, რომ „იუვეს" ესპანურ გუნდთან შინ 1960 წლის მერე არ წაუგია და მაშინაც ის გუნდი „რეალი" იყო.

გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლებს უკვე სამის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ იმ დღეს „იუვენტუსი" ამის გამკეთებელი რომ არ იყო, დიდი გამჭრიახობის გარეშეც ადვილი მისახვედრი გახლდათ.

„დეპორტივოს" მწვრთნელმა, ხავიერ ირურეტამ განაცხადა: „პირველი შეხვედრის ანგარიშიდან და ჩვენი ტაქტიკიდან გამომდინარე თავდასხმაში პანდიანის გამოყვანა ვამჯობინე. ჩვენ მთელ თამაშს ვაკონტროლებდით და პანდიანის გოლიც სიმბოლური დასტური გახლდათ ჩვენი ამ უპირატესობისა. ერთი კი უნდა ვაღიარო, დელ პიეროს ტრავმამ „იუვენტუსზე" უარყოფითად იმოქმედა. საბოლოოდ მოსალოდნელზე გაცილებით მშვიდი თამაში გამოვიდა. არადა, იტალიურ გუნდთან, მეტადრე კი „იუვენტუსთან" იოლი მოგება ყოველთვის გამორიცხულია. ამრიგად, ევროპის რვა უძლიერეს გუნდში მოვხვდით და ეს სრულიად ობიექტურია, ვართ კიდევაც ერთი მათგანი. მეტიც, ვფიქრობ, უფრო მეტის მიღწევაც შეგვიძლია".

დამარცხებულთა თავკაცმა, მარჩელო ლიპიმ კი თქვა: „ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა ძალიან სამწუხაროა, ამას მეტად მწარე გრძნობა სდევს, მით უფრო, რეალური მომენტი რომ ვერ შევქმენით, თუმცა ფეხბურთელებს მსურს მადლობა გადავუხადო. საერთოდ, იღბალიც საჭიროა, ჩვენ კი დელ პიერო დასაწყისშივე დავკარგეთ და სულ მალე დამამცირებელი გოლი გავუშვით. მაგრამ ამასაც გადავიტანთ, „იუვენტუსში" დიდი წარმატების მიღებაც ვიცით და მარცხის გადაძალვაც".

**პაპუნა ბედია**


ალესანდრო დელ პიერო მოედნიდან ასე გააცილეს

# ფრანგული დახვედრა

**ლიონი (საფრანგეთი) 1:0 სოსიედადი (სან სებასტიანი, ესპანეთი) (1:0)**
1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (77)
**ლიონი:** კუპე (ვერკუტრე 17), დეფლანდრე, ედმილსონი, მიულერი, მალუდა, ესიენი, მ. დიარა, ჟუნინიო პერნამბუკანო, დორასო (სარტრე 88), გოვუ, ლუინდულა (ელბერი 82)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
**სოსიედადი:** ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაურეგი, შურერი (დე პაულა 84), პოტილიონი, ხაბი ალონსო, კარპინი, არანბურუ (დე პედრო 62), ალკისა, გაბილონდო (ნიჰათი 62), კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ედმილსონი (34), კარპინი (41), ხაურეგი (65), შურერი (66)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
38 914 მაყურებელი


REUTERS ლიონიდან
ჟუნინიოს საგოლე სამადლობელი

**ბასკური** „სოსიედადი" ჩემპიონთა ლიგას ფრანგულ „სტად ჟერლანზე" დაემშვიდობა. დენიოს მოწაფეებმა ვერაფრით შეძლეს „ანოეტაზე" წინა თვეში შავბნელი 0:1-ის გამოსწორება (შურერმა მაშინ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი), ხოლო პოლ ლე გუენის არმიამ მეტოქის უიღბლო მცველის საჩუქარს გალურ სარბიელზე ჟუნინიოს მომგებიანი გოლიც დაამატა და ამ წყვილიდან ლიგის მეოთხედფინალში აშკარად უფრო ძლიერი გავიდა.

„სტად ჟერლანზე" თამაში მომხვდურთა იერიშებით დაიწყო. უკვე მე-9 წუთზე ლოპეს რეკარტეს დაწინაურებისთვის ალკისამ კარგი შანსი მისცა, მაგრამ ბურთმა გრეგორი კუპეს კარს გვერდით ჩაუქროლა. საერთოდ კი, ფრანგთა გამოცდილი გოლკიპერი თავის გუნდს ბევრით ვერაფრით დაეხმარა, რადგან გაბილონდოსთან შეჯახებისას დაშავდა და იძულებული გახდა, სათადარიგოთა სკამზე გადამჯდარიყო. ამას თითქოსდა, ბასკების სასიკეთოდ უნდა ემოქმედა, თუმცა სტუმრებმა „ლიონის" ჯებირი ვერ გარღვიეს.

აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელ ბასკთა ტაქტიკა მარად უცვლელია — ყოველი გადაცემა რუსი კარპინისკენ მიდის, ვინც თავისი საპატიო 35 წლიდან გამომდინარე, საგოლო სიტუაციებს ძველებურად ველარ აგვირგვინებს.

ფრანგები კი დამაჯერებლად მოქმედებდნენ — პირველ ტაიმში გოვუმ, ჟუნინიომ და ესიენმა ალბერტოს საჯარიმო რამდენჯერმე სახიფათოდ მოინახულეს. ამ უკანასკნელის სასახელოდ კი უნდა ითქვას, რომ მთელი 90 წუთი შესანიშნავად თამაშობდა და ოდენ ერთხელ ვერ შეძლო თავისი კარი „ლიონის" შეტევისგან დაეფარა.

მეორე ნახევარში ფრანგთა გააზრებულ იერიშებს სტუმრები დაბნეულ ბურთაობას უპირისპირებდნენ, რაც ისედაც მცირე შანსის მქონე „სოსიედადს" მეოთხედფინალში მოხვედრას უფრო და უფრო ურთულებდა.

დენიოს მოწაფენი მცირე ხნით ოდნავ გამოფხიზლდნენ და რომ არა დეფლანდრეს ჩაუქი ოსტატობა, ვინ იცის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო — 75-ე წუთზე კარპინის კუთხურს ხაბი ალონსომ თავური დაახვედრა და ბელგიელმა დეფლანდრემ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

ამან ჟუნინიოს გადამწყვეტი მოქმედებისკენ უბიძგა. ორ წუთში მარჯვენა ფლანგზე ლუინდულას კარგი გადაცემით ისარგებლა და „სოსიედადის" საჩემპიონთალიგო ოცნებებსაც ბოლო მოუღო.

**ლადო ხომერიკი**

## უეფას თასი

UEFA CUP 1/8 ფინალი. პირველი მატჩები. დღეს UEFA CUP

| | | |
|---|---|---|
| სელტიკი (შოტლანდია) | — | ბარსელონა (ესპანეთი) |
| გენჩლერი (თურქეთი) | — | ვალენსია (ესპანეთი) |
| ბორდო (საფრანგეთი) | — | ბრიუგე (ბელგია) |
| ნიუკასლი (ინგლისი) | — | მალიორკა (ესპანეთი) |
| ოსერი (საფრანგეთი) | — | პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| ინტერი (იტალია) | — | ბენფიკა (პორტუგალია) |
| ლივერპული (ინგლისი) | — | მარსელი (საფრანგეთი) |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | — | რომა (იტალია) |

# დიდი მატჩის ბევრი სტრიქონი

## შენ საფლავებთან მოსვლაც და მუხლის მოდრეკა მომინდება

*ბრმა წილისყრას თვალის ჩინი ერთი წამითაც რომ დაბრუნებოდა, „სელტიკს“ და „ბარსელონას“ მერვედფინალში ალბათ არ შეახვედრებდა. რადგან მაინც ასე მოხდა, ფეხბურთის ქომაგებს ისღა დარჩენიათ, ორი ლამაზი მატჩით ისიამოვნონ. დასანანია, ამ წყვილიდან უეფას თასისთვის ბრძოლას ერთი ნაადრევად რომ გამოეთიშება*



ხუან ლაპორტა

**„სელტიკი“** შარშანდელი ფინალისტია. გლაზგოელებმა ფინალამდე გრიალით იარეს, მაგრამ ბრწყინვალედ მოთამაშე „პორტუსთან“ დამარცხდნენ. „თეთრ-მწვანეებს“ შოტლანდიის ჩემპიონატში ჯერ მატჩი არ წაუგიათ. ერთი სერიოზული მეტოქე „რეინჯერსი“ ჰყავდათ და ამ სეზონში ყველანაირად დაჩაგრეს. მარტინ ონილისთვის ქვეყნის ჩემპიონობა, ცხადია, მთავარია, მაგრამ ევროსარბიელზე წარმატებაც ამოუჭრია გულში.

„ბარსელონას“ სამი წლის წინ უეფას თასის ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა — ნახევარფინალში „ლივერპული“ ვერ დაძლია. უკვე მერამდენე სეზონია, კატალონიელებს შინ და გარეთ არაფერი მოუგიათ. „ბარსელონა“ ამჟამად ისე მოღონიერდა, რომ პრიმერადივიზიონში მიჯრით შვიდ შეხვედრაში იმარჯვა.

„თეთრ-მწვანეებს“, შინ 2001 წლის აგვისტოს შემდეგ არ წაუგიათ. ეს სერია 73-მატჩიანია და „ბარსას“ შანსი აქვს, გლაზგოელთა დაუმარცხებელი საშინაო სვლა შეწყვიტოს.

მასპინძლებს სამი თავდამსხმელი ტრავმირებული ჰყავთ. კრის სატონი, ჯონ ჰართსონი და ყმაწვილი შონ მელონი გუნდს ვერ დაეხმარებიან. სამაგიეროდ, ყოველთვის ფორმაშია შვედმეგოლე ჰენრიკ ლარსონი, რომელიც სტუმართა მცველებს ბლომად სატკივარს გაუჩენს.

გუშინდელი ვარჯიში მცველებმა, იოოს ვალგაერენმა და ბობო ბალდემ გამოტოვეს, მაგრამ ისინი მწვრთნელმა, მსუბუქი ტრავმების გამო დაასვენა. მარტინ ონილს განსაკუთრებით ბობო ბალდესი ეიმედება, რომელსაც „ალვირახსნილი“ რონალდინიოს „გაზედვნა“ მოუწევს. სამი ფორვარდის არყოფნამ კი ონილი, ცხადია, დაალონა: „ჩვენთვის ეს დიდი დანაკლისია, განსაკუთრებით ასეთი მატჩის წინ. რვა-ცხრა კვირის წინ „ბარსელონა“ არეულ-აწეწილი იყო, ახლა კი ბრწყინვალე ფორმაშია და მეტოქეებს შინ თუ გარეთ ერთიანად მუსრავს“.

სტილიან პეტროვი: „ბარსა“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ჩვენც არ ვართ ჯაბანნი. გუნდებს თანაბარი შანსი აქვთ მეოთხედფინალში გასასვლელად“.

კატალონიელებს გლაზგოში პრეზიდენტი ხუან ლაპორტაც ჩაჰყვა. გადაწყვეტილია, რომ იგი შოტლანდიელთა უმამაცესი გულის, უილიამ უოლსის საფლავს მოინახულებს და პატივს მიაგებს.

პრეზიდენტი კარგ ხასიათზეა, რაკილა მისი გუნდი რიგიანად ათამაშდა. ლაპორტა ასე ბჭობს: „დიდი ხანია, „ბარსელონას“ ჯილდო არ მოუგია და ეს წარუმატებლობა რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს? ყველაფერს აქვს დასასრული. ბიჭებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია დაუბრუნდათ. შესანიშნავად თამაშობენ და მატჩიდან მატჩამდე ხარისხს აუმჯობესებენ. ჩვენ უეფას თასის მოგება ნაღდად შეგვიძლია“.

„ბარსელონას“ გლაზგოში ტრავმირებული ლუის ენრიკე და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი არ ეყოლება. ჰოლანდიელი ოდესღაც „რეინჯერსში“ თამაშობდა და ძველი მეტოქის წინააღმდეგ ამჯერად ვერ ითამაშებს. ედგარ დავიდსმა კი „იუვენტუსის“ შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა უკვე დააჭაშნიკა და ამის გამო გულშემატკივრებში ჩაეწერა.

სამი კარგი ამბავი ფრანკ რაიკაარდისთვის: მცველი რაფაელ მარკესი გამოკეთდა, ხერარდი ფორმაშია და სავიოლაც კვლავ დაუბრუნდა ძირითად შემადგენლობას.

აქვე გეტყვით, რომ უეფას თასზე გამართული ექვსი საამსეზონო შეხვედრიდან „ბარსელონამ“ ხუთი მოიგო და მხოლოდ ერთხელ, სტუმრად, ფრედ ითამაშა „პუხოვთან“.

დღევანდელმა მთავარმა მატჩმა ბევრი სტრიქონი წაიღო, არადა დანარჩენი შვიდი წყვილი არანაკლებ საინტერესოა. ლისაბონში დაწიოკებული „ინტერი“ ჩავა. „პორტუს“ შესანიშნავი თამაშის შემყურე „ბენფიკას“ ჩემპიონობა გაუჭირდა და ამიტომ უეფას თასს ლისაბონელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ასევეა „ინტერი“, რომელსაც სერია A-ში ყველაფერი აერია და ევროთასს ჩასჭიდებია.

მილანელები გასულ უქმეებზე „რომასთან“ შერცხვნენ, მაგრამ ალბერტო ძაკერონის არ ადანაშაულებენ. „ინტერის“ ტექნიკურმა დირექტორმა გუშინ თქვა, ძაკერონი სეზონის ბოლომდე ხელშეუხებელიაო. დირექტორმა ისიც დასძინა, გუნდის კრიზისი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა ტრავმებითაა გამოწვეული და მწვრთნელზე ხელს ვერ შევიწმენდთო.

მეთექვსმეტედფინალში „სოშოს“ გაჭირვებით მძლეველ „შავ-ლურჯებს“ დღეს კრისტიან ვიერი დააკლდებათ. ბობოს გოლის გატანა დაავიწყდა და მეტოქეთა ცემა-ტყეპა დაიწყო. სოშოელ მეტოქეს მილანში მუჯლუგუნი ჰკრა, რისთვისაც გააძევეს და დღევანდელ შეხვედრას გამოტოვებს.

ინტერტოტოდან მოდის „ვილიარეალი“ და ამჯერად დიდი გამოცდა ელის „რომასთან“. ფაბიო კაპელოს გუნდი ძალიან გამართულია და გოლების გატანაშიც გაიწაფა. რომაელები ესპანეთს ფრანჩესკო ტოტის და ოლივიე დაკურის გარეშე ეწვევიან. მწვრთნელს ალბათ არ სურს, რომ ტოტი ზედმეტად გადაიღალოს. სკუდეტოს მოგების რეალური შანსი აქვს და ლიდერს ჩემპიონატისთვის ზოგავს. ძირითად შემადგენლობაში ანტონიო კასანოს გამოჩენაც საეჭვოა. შესაძლოა „ვილიარეალთან“ ვინჩენცო მონტელამ ითამაშოს, რომელიც დიდი ხნით ტრავმირებული იყო და ახლა საბოლოოდ გამოჯანმრთელდა.

მასპინძლებს ნახევარმცველი როდოლფო არუაბარენა დააკლდებათ. „გალათასარაისთან“ მატჩი გამოტოვა სერხიო ბალესტეროსმა და იგი, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება. „ვილიარეალის“ ბრაზილიელი ფორვარდი სონი ანდერსონი „რომას“ ფავორიტად მიიჩნევს: „კარგად ვიცით, რომ რომაელები ბრწყინვალე ფორმაში არიან. ასეთ გუნდთან ბრძოლა ძალიან ძნელია, მაგრამ იოლად დანებებას არ ვაპირებთ. განსაკუთრებული ყურადღებით დაცვაში უნდა ვითამაშოთ. ჩვენ სტუმრებს ძლიერი მცველები ჰყავთ და იშვიათად ცდებიან, ამიტომ მათი შეცდომების მაქსიმალურად გამოყენება გვმართებს“.

ხუან რომან რიკელმე: „ვფიქრობ და მიკვირს — ინტერტოტოდან დავიწყეთ, ახლა კი მერვედფინალში ვართ. ჩემთვის სულ ერთია, მეტოქე ვინ იქნება. ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან ბოლომდე დავიხარჯებით და მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებ.“

სტამბოლის „ბეშიქთაშის“ ძლევის შემდეგ „ვალენსიას“ კვლავ თურქეთის რეისი გამოუწერეს. ამჯერად ესპანელები ანკარას ეწვევიან და „გენჩლერს“ დაეჯახებიან.

რაფაელ ბენიტესს არგენტინელი გამთამაშებელი პაბლო აიმარი არ ეყოლება, იგი გასულ უქმეებზე „დეპორტივოსთან“ შეხვედრაში დაშავდა და სამკვირიანი მკურნალობა ელის. ანკარაში ვერ ითამაშებენ აურელიო, ხორხე ლოპესი, კარლოს მარჩენა და კურო ტორესი. ბენიტესი „გენჩლერთან“ სანტიაგო კანისარესსაც დაასვენებს და კარში პალოპი ჩადგება.

გი რუს „ოსერი“ გუს ჰიდინკის პსვ-ს დაუხვდება. ოსერელებმა უეფას თასზე ექვსი მატჩი ითამაშეს და ჯერ გოლი არ გაუშვიათ. საინტერესოა, შეძლებენ თუ არა სტუმრები ამ ტრადიციის დარღვევას.

ფრანგებს ნაკრების ორი მცველი, ფილიპ მექსეში და ჟან ალენ ბუმსონგი დააკლდებათ. დისკვალიფიცირებულია ფორვარდი ოლივიე კაპო და პირველ მატჩს გამოტოვებს.

„ლივერპული“ „მარსელს“ მიიღებს. ფრანგებმა გასულ უქმეებზე სტუმრად „ბასტიასთან“ 1:4 წააგეს. მწვრთნელმა ჟოზე ანიგომ თქვა, ჩემს ხელში გუნდს ასე უგულოდ ჯერ არ უთამაშიაო.

ჟერარ ულიეს კი კარგი შანსი აქვს, „ენფილდ როუდზევე“ მოამთავროს საქმე, რადგან „ლივერპული“ ამჟამად აღმავლობის გზაზეა და „მარსელის“ დონის გუნდის დამარცხება სავსებით ძალუძს.

„ბორდოს“ მთავარმეგოლე ჟან კლოდ დარშევილი არ ეყოლება და საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფი „ბრიუგე“ ალბათ, ბრძოლას გაუჩაღებს.

„ნიუკასლს“ ლუის არაგონესის „მალიორკა“ 18 ფეხბურთელით ჩააკითხავს, რომელთა შორის სამუელ ეტოოც იქნება. ესპანელებს გილერმო პერეირა და სერბი დელიბაშიჩი გამოაკლდებათ. არაგონესის თქმით, „ნიუკასლი“ ჯიგრიანად შემტევი გუნდია და ამდენად ძალიან სახიფათოა ნებისმიერი მეტოქისთვის.

**ვაჟა ხუციშვილი**



რონალდინიოს გლაზგოში პოლიცია დახვდა



პაბლო აიმარი



გაისკა მენდიეტას მაურისიო ტარიკო ფეხებში ჩაუვარდა

# მაკლარენმა ბორო გაახოცხლა

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**მიდლსბრო 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ნემეტი (73)

*მაკარონემ ვერ გაიტანა პენალტი (89, ააცილა)*

**მიდლსბრო:** შვარცერი, დ. დევისი (პარნაბი 45), ეჰიოგუ, საუთგეიტი, კედრუ, მენდიეტა, ბოატენგი, დორივა (მაკარონე 46), ზენდენი, ჟუნინიო პაულისტა, ჟობი (ნემეტი 68)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, ე. გარდნერი, რიჩარდსი, ტარიკო, ანდერტონი (პოსტიგა 86), მ. ბრაუნი (პოიეტი 80), კინგი, ჯეკსონი (ს. დალმა 64), რობი კინი, დეფო

მწვრთნელი: დევიდ პლიტი

გაფრთხილება: ბრაუნი, კარი

მსაჯი: ჰალსი

31 789 მაყურებელი

როცა ორი ინგლისური გუნდი ჩემპიონთა თასისთვის იბრძოდა შინაურ სტადიონებზე, ინგლისის ლიგის თასის მფლობელმა „მიდლსბრომ" შილარდ ნემეტის გოლით 1:0 მოუგო „ტოტენჰემს".

სლოვაკმა 73-ე წუთზე აჯობა მცველ დინ რიჩარდსს და მეკარე კეისი კელერიც მოატყუა. თუმცა, კელერს თავისი წილი გმირობა თხუთმეტი წუთით ადრე ჩადენილი ჰქონდა: რიჩარდსმა ჟოზეფ-დეზირე ჟობი მოცელა საჯარიმოში, კელერმა კი პენალტი აუღო მასიმო მაკარონეს.

„ტოტენჰემი", რომელმაც თავის ბოლო სამ თამაშში 4-4 გოლი გაიტანა, ამჯერად უგოლოდ დარჩა — ჯერმენ დეფოს და დარენ ანდერტონს პირველ ტაიმში უნდა შეეგდოთ, რობი კინი კი ბოლო წუთზე პენალტს ითხოვდა, უგო ეჰიოგუმ წამაქციაო.

ამ მოგებით „ბორო" ქულებით წამოეწია „ტოტენჰემსა" და „ბოლტონს" და ცხრილში მე-11 ადგილი დაიკავა. ალბათ ამიტომაც, გამარჯვებულთა მენეჯერმა სტივ მაკლარენმა ამ მოგებას „სეზონში უმნიშვნელოვანესი" უწოდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 27 | 20 | 7 | 0 | 53:18 | 67 |
| ჩელსი | 27 | 18 | 4 | 5 | 48:21 | 58 |
| მანჩესტერი | 27 | 18 | 4 | 5 | 51:25 | 58 |
| ნიუკასლი | 27 | 10 | 12 | 5 | 38:28 | 42 |
| ბირმინგემი | 27 | 11 | 9 | 7 | 30:29 | 42 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 7 | 9 | 38:34 | 40 |
| ლივერპული | 26 | 10 | 9 | 7 | 38:29 | 39 |
| ასტონ ვილა | 27 | 10 | 7 | 10 | 32:32 | 37 |
| ფულემი | 27 | 10 | 6 | 11 | 39:38 | 36 |
| ტოტენჰემი | 27 | 10 | 4 | 13 | 39:43 | 34 |
| მიდლსბრო | 27 | 9 | 7 | 11 | 29:34 | 34 |
| ბოლტონი | 27 | 8 | 10 | 9 | 32:42 | 34 |
| საუთჰემპტონი | 27 | 8 | 9 | 10 | 27:27 | 33 |
| ევერტონი | 27 | 7 | 8 | 12 | 33:39 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 7 | 7 | 13 | 39:44 | 28 |
| სიტი | 27 | 6 | 9 | 12 | 36:39 | 27 |
| პორტსმუთი | 26 | 6 | 6 | 14 | 29:40 | 24 |
| ვულვზი | 27 | 5 | 9 | 13 | 24:52 | 24 |
| ლესტერი | 27 | 4 | 11 | 12 | 37:51 | 23 |
| ლიდსი | 27 | 5 | 7 | 15 | 26:53 | 22 |

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ვესტ ჰემი 5:0 უიმბლდონი**

1:0 ეზერინგტონი (37), 2:0 ზამორა (39), 3:0 ეზერინგტონი (49), 4:0 რეო-კოკერი (62), 5:0 ეზერინგტონი (70)

**ბრედფორდი 2:0 უოტფორდი**

1:0 ევანსი (9), 2:0 უინდასი (22)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვიჩი | 34 | 19 | 10 | 5 | 53:28 | 67 |
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 10 | 7 | 49:30 | 64 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 15 | 6 | 51:32 | 57 |
| უიგანი | 34 | 15 | 12 | 7 | 48:35 | 57 |
| შეფილდი | 34 | 16 | 7 | 11 | 50:41 | 55 |
| მილუოლი | 34 | 14 | 11 | 9 | 41:33 | 53 |
| იფსვიჩი | 35 | 15 | 8 | 12 | 63:57 | 53 |
| რედინგი | 35 | 15 | 8 | 12 | 44:47 | 53 |
| სანდერლენდი | 31 | 14 | 9 | 8 | 41:31 | 51 |
| კრ. პალასი | 35 | 14 | 9 | 12 | 55:50 | 51 |
| პრესტონი | 34 | 14 | 8 | 12 | 50:43 | 50 |
| სტოკი | 34 | 14 | 8 | 12 | 49:46 | 50 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 13 | 10 | 44:39 | 49 |
| კარდიფი | 34 | 12 | 10 | 12 | 53:43 | 46 |
| ქრიუ | 34 | 12 | 8 | 14 | 43:46 | 44 |
| როტერჰემი | 34 | 10 | 11 | 13 | 40:47 | 41 |
| ბარნლი | 35 | 9 | 13 | 13 | 47:56 | 40 |
| უოტფორდი | 35 | 10 | 10 | 15 | 40:49 | 40 |
| ჯილინგემი | 33 | 11 | 7 | 15 | 35:46 | 40 |
| ნოტინგემი | 35 | 9 | 11 | 15 | 42:45 | 38 |
| უოლსოლი | 35 | 9 | 11 | 15 | 36:47 | 38 |
| დერბი | 34 | 8 | 11 | 15 | 35:54 | 35 |
| ბრედფორდი | 36 | 9 | 5 | 22 | 31:52 | 32 |
| უიმბლდონი | 34 | 5 | 3 | 26 | 28:71 | 18 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# მადამ 36

## ლესტერული ტრიოს მსხვერპლი ქალები მონები არიან

*აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!.. თუმცა, მოდით, უფრო მშვიდად ვისაუბროთ: ესპანეთში მომხდარ საფეხბურთო გაუპატიურებაზე მოგახსენებთ, სადაც ყველა მონაწილის ვინაობა ცნობილია, დასაჭერი აღარავინ არის და უბრალოდ ფაქტების დადგენა მიმდინარეობს. თუ ვინმემ არ იცის რა ხდება, ძალიან მოკლედ გეტყვით, რომ ინგლისური საფეხბურთო გუნდის, „ლესტერ სიტის" სამი მოთამაშე, პოლ დიკოვი, კეიტ გილესპი და ფრენკ სინკლერი მურსიის ციხეში ზის სამი ქალის გაუპატიურების ბრალდებით. თუმცა დღევანდელ წერილში მათზე ახალს ვერაფერს გეტყვით, დაზარალებულებზე კი მოგახსენებთ.*





მაშ ასე, დაზარალებულები, რომელთაგან ერთი 36 წლის ყოფილა, ორი კი ცხრამეტის უკვე რაღაც უცნაურია, ხომ? ჯერ სადა ხარ! ირკვევა, რომ 36 წლის ქალბატონი — სწორედ ის, რომელზეც წინა წერილში მოგახსენეთ, რომ გერმანელზეა გათხოვილი და დედაა — ტრეფიკინგის ოსტატი ყოფილა, ხოლო გოგოები მონებად ჰყოლია. მას თურმე მალავის დედაქალაქ ლილონგვედან ქალების ევრობორდელებში წამორეკვის ბიზნესი ჰქონია აწყობილი. კერძოდ, მისი ცენტრალური მარშრუტი ლილონგვე — ამსტერდამი ყოფილა, მუშაობის მთავარ ხერხებად კი ცხადია ტყუილს, შანტაჟს და დაშინებას იყენებდა.

მურსიაში დაზარალებული 19 წლის გოგოებიც ჩვეულებრივი ღარიბი აფრიკელები ყოფილან, რომლებისთვის სიტყვა ლუკმა-პურს საგანგებო ჟღერადობა აქვს და როდესაც ჩვენმა „მადამ 36"-მა თავისი მალაზიებისთვის საქონლის ჩამოტანა შესთავაზა, სიხარულით დათანხმებულან. ასე მოხვდნენ ცხრამეტი წლისანი ევროპაში, სადაც „მადამ 36"-მა დაახლოებით 17 ათასი დოლარის „მოტეხვა" დააბრალა და თანხის ამოღებამდე მეძავობა მიუსაჯა.

კერძოდ, „მადამ 36"-მა გოგოები რაღაც კლუბში მიიყვანა, რომელზეც თქვა, ჩემი მეგობრისააო და იქ მეძავობა განკარგა. როდესაც გოგოებმა უარი გაბედეს, დიდი ჩხუბი ატყდა, „მადამ 36"-მა თავისუფლების სანაცვლოდ თავისი დოლარები მოითხოვა, ხოლო რომ ვერ მიიღო, ორივენი ვიღაც კაცს მიჰყიდა. გოგოებს კაცმაც მეძავობა უბრძანა. ის მათ უკლებლივ ყველა მსურველის მომსახურებას აიძულებდა და შემოსავლის 25 პროცენტს „მადამ 36"-ს უხდიდა.

აქ, როგორც ჩანს, გოგოები დაშორდნენ, ან უფრო სწორედ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ისინი საქმეში ერთად ჩართული მეგობრები იყვნენ, უბრალოდ, ალბათ თავიდან უცნობი ადამიანების ცხოვრების გზები გადაიკვეთა და მეტი არაფერი. მოკლედ, ერთი გოგოს ბედი ისე განვითარდა, რომ როდესაც „მადამ 36"- დააკავეს და ევროპიდან გააძევეს, ხოლო კაცი პოლიციის რეიდის შემდეგ ციხეში გადაბარგდა, ის მალავის პოლიციას ჩაბარდა, რითაც სამთვიანი მონური მეძავეობისგან თავი დაიხსნა, მეორე გოგო კი, როგორც ჩანს, სხვა სექს-კლუბისთვის მიუყიდიათ, თუ რაღაც ამგვარი.

ცხადია, თავადვე ატყობთ, რომ ისტორია სავსეა შეუსაბამობებით, თუნდაც პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, ყოველივე ამის შემდეგ როგორ აღმოჩნდნენ ისინი კვლავ „მადამ 36"-თან ერთად ესპანურ სასტუმროში? რა მოხდა მანამდე მალავიში, მათ, როგორც უკვე პროფესიონალმა მეძავეებმა ერთმანეთი მონახეს და ბებერ კონტინენტს დაუბრუნდნენ თუ სხვა რამ? ეს ყველაფერი ესპანეთის პოლიციის გასარკვევია, ხოლო ჩვენ ინგლისური პრესის საშუალებით თუ გავიგებთ ხომ კარგი, თუ არა და დაგვდგომია დარდები.

სხვა საქმეა, რომ დღევანდელ წერილში „მადამ 36"-ის პორტრეტი კიდევ შეგვიძლია ერთი-ორი შტრიხით შევავსოთ. კერძოდ, წინა წერილში გვეწერა, რომ მას ორი შვილი ჰყავს, დღეს კი ერთი, დამატება შეგვიძლია. შვილების ასაკია 16, 11 და 9. „მადამ 36"-ის გერმანელ ქმარს ჰქვია გეორგი (ან ჯორჯი) და აქამდე იმიტომ არ ჩანდა, რომ მალავიში ცხოვრობს, სადაც სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელია. როდესაც გეორგს ან ჯორჯს ცოლის დაპატიმრებაზე ჰკითხეს, ხელი დანანებით ჩაიქნია, ვიცოდი ფიცს რომ სტეხდა და ისევ იმ ბინძურ საქმეში იდგა, ამიტომაც ჩავალაგე ჩემოდნები და ვუთხარი მივდივარო.

გეორგი თუ ჯორჯი 42 წლის კაცია, ხოლო „მადამ 36"-ის დედა 70 წლის მალაველი ქალი გახლავთ, რომელიც თავისი ბიზნესით შვილმა მტვრიანი სოფლიდან ივით ლილონგვეში აგურის ბარაკში შეასახლა და სიბერე დაუტკბო.

**პაატუნა ძედია**





ჯანეტ დიკოვის და კელი მაგურის ქმრებმა ამ სასტუმროში ივაჟკაცეს

*პაოლო კანავარო ერთი მატჩის გამოტოვებით დაისჯება. მართალია, ცნობილი ფაბიო კანავაროს ძმა მსაჯს არაფერში უმხელია, მაგრამ ტელეკამერებს ვერ გაექცა. „პარმას“ მცველი „მოდენასთან“ ფრედ (2:2) დასრულებული მატჩის დროს ერთ ეპიზოდში, მეტოქეს, ფაბიო ვინიაროლის ყელში ხელს უჭერს და ეს გადაღებულია*

# საბრალონი

## შავ-ლურჯთა ყვითელ-წითელი ჭირი

**თუმცა** „პარმა“ და პაოლო კანავარო ფაბიო კანავაროს გუნდ „ინტერთან“ უცოდველ კრავად მოსჩანს — „ინტერს“ უკვე შვიდი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული. კერძოდ, პაოლო კანავაროს მსგავსი დანაშაულისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა ურუგვაელი ალვარო რეკობა.

ანკონელი ვეტერანი მაურიციო განცი კი უკმაყოფილო იყო, რომ „რეჯინასთან“ 1:1 ნათამაშევ მატჩში ბურთისთვის ხელის ხლებისთვის გააძევეს მოედნიდან. მან სადისციპლინო კომიტეტს აპელაციით მიმართა, მაგრამ შეწყალებაზე უარი უთხრეს და ერთი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. სხვათაშორის, „ანკონას“ უნდოდა ეპიზოდი ვიდეოფირზე დაყრდნობით განხილულიყო, მაგრამ იტალიური საფეხბურთო წესებისა და კანონების მიხედვით, ვიდეოს გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ სადავო ეპიზოდი მსაჯს გამორჩა.

დავუბრუნდეთ ყოვლად საბრალო „ინტერს“, რომლის ფეხბურთელებმა, კრისტიანო ძანეტიმ, თომას ჰელვეგმა და ფრანსისკო ფარინოსმა „რომასთან“ 1:4 წაგებულ შეხვედრაში ყვითელი ბარათები მიიღეს და ახლა უქმეებზე ტურს გამოტოვებენ. იმავე შეხვედრის მიწურულს წითელი ბარათი მიიღო ივან კორდობამ, რომელიც ცხადია, ასევე არ იქნება უახლოეს ტურში.



„ინტერი“ გაწითლებულ ივან კორდობასაც მოისაკლისებს

გავაგრძელოთ? „ინტერს“ თუ გახსოვთ, ორი შეხვედრით ჰყავდა დისკვალიფიცირებული დეიან სტანკოვიჩი, რომელსაც მეორე თამაში ჯერ გამოსატოვებელი აქვს, მოჰამედ კალონი სულაც დოპინგზეა ჩავარდნილი, ხოლო მარკო მატერაცი სიენელი ბრუნო ჩირილოს ცემითვის გახლავთ შერისხული.

ცნობისთვის: ამ ტურში „ინტერი“ „კიევოს“ მასპინძლობს.

**პაპუნა ძედია**

# ახალი ყატარელები



ლეანდრომ, აილტონმა და დედემ ბრაზილიელობა ყატარელობაში გაცვალეს

**ფეხბურთი** აირია, ველარ გაიგებ, რომელი ნაკრებია ძლიერი და რომელი, სუსტი. ასე მაგალითად, თქვენ გგონიათ, რომ ყატარის ნაკრები იმდენად სუსტია, გინდ ყოფილა, გინდ არა, მაგრამ რას იტყვით, ყატარელები 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ გავიდნენ?

როგორ, რანაირადო, იკითხავთ. ყატარელებს ფული ოხრად რომ აქვთ, საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, მაგრამ ცოტა ფეხბურთიც ხომ უნდა იცოდე.

თუმცა გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს — შენ თუ არ იცი, მოქალაქეობა მიალებინე იმას, ვინც იცის. ყველაფერი ძალიან მარტივადაა.

ახლა კი მთავარი ვთქვათ — ყატარელები სამი ბრაზილიელისთვის, აილტონისთვის, დედესთვის და ლეანდროსთვის მოქალაქეობის მიცემას აპირებენ და ამისთვის გვარიან თანხასაც გადაუხდიან.

სამივენი გერმანიაში თამაშობენ. აილტონი ჩემპიონობის მომლოდინე „ვერდერის“ ფეხბურთელია და, გაისად „შალკეში“ გადავა. დედე და ლეანდრო კი, მოგეხსენებათ, ძმები არიან და „დორტმუნდში“ თამაშობენ.

სავარაუდოდ, მათთვის მოქალაქეობის მიცემის საკითხი ამ კვირაში მოგვარდება, როცა ყატარელები გერმანიაში ჩავლენ და ფეხბურთელებს დოკუმენტებზე ხელს მოაწერინებენ.

საინტერესო ცნობაც: სამივე ბრაზილიელმა თქვა, გაყატარელების მერე სახელებს არ შევიცვლითო. არადა, ამის პრეცენდენტი არსებობს — კენიელი მძლეოსანი სტეფან შერონო, რაც ყატარის მოქალაქეობა მიიღო, სეიფ საიდ შაჰინად იქცა.

ბრაზილიელთა გაყატარელების თაობაზე აზრი ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმაც გამოთქვა და ამგვარი ტენდენცია ფრიად სახიფათოდ მიიჩნია, პატრიოტული გრძნობების დაკნინებაზე ილაპარაკა.

ფიფა უახლოეს მომავალში ამ საკითხზე შეკრებას აპირებს და ეგებ ახლო მომავალში გასხვაქვეყნელობა აკრძალოს.

**ირაკლი ნინიძე**

## ფეხბურთის რუკასთან

**რუსული** ცსკა-ს ხორვატი ფორვარდი ივიცა ოლიჩი მოსკოვის „სპარტაკში“ არ გადავა. ჯერ ერთი, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა უკვე შეწყვიტა პრემიერლიგის კლუბებისგან მოახლოებული სეზონისთვის განაცხადების მიღება და მეორეც, ცსკა-ს პრეზიდენტი ევგენი გინერი ამბობს, „სპარტაკმა“ რა თანხაც არ უნდა შემოგვთავაზოს, ოლიჩს იქ არ გავუშვებთო.

**კონგოს** დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს ამიერიდან ფრანგი სპეციალისტი მიშელ იდალგო გაწვრთნის. ღვაწლმოსილი და 1984 წელს ევროპაში ფრანგთა ნაკრების გამჩემპიონებელი მწვრთნელი ახლა 72 წლისაა, თუმც თავის საქმეს ჩვეული სიჩაუქით განაგრძობს. იდალგომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2007 წლამდე გააფორმა და ფედერაციის მოხელეებმაც მას მიზნად აფრიკის ეროვნებათა მომავალ თასზე წარმატებით გამოსვლა დაუსახეს.

**ინგლისური** „ლივერპულის“ ფრანგი გარემარბი ენტონი ლე ტალეკი მწყობრიდან სულ ცოტა ერთი თვით გამოვიდა. მას მუხლი აწუხებდა, თუმც ყურადღება არ მიუქცევია და გუნდის ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზეც ტრავმა მიიღო. ვარაუდობდნენ, რომ ტრავმა სერიოზული იქნებოდა, თუმც „ლივერპულის“ ექიმებმა მწვრთნელი ჟერარ ულიე დაამშვიდეს, საოპერაციო არ არისო.

**ესპანურმა** „ბარსელონამ“ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ზაფხულში „სელტიკის“ შვედ ფორვარდ ჰენრიკ ლარსონის შეძენას აპირებს. მოგეხსენებათ, დღეს უეფას თასის მერვედფინალის პირველ მატჩში ზემოხსენებული გუნდები ერთმანეთს ხვდებიან და „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი თამაშის დასრულებისთანავე აპირებს თავის გლაზგოელ კოლეგებთან მოლაპარაკებების წამოწყებას.

**ჰოლანდიელი** მცველი ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი „ბარსელონას“ სულ ცოტა 3-4 კვირით დააკლდება. ფეხბურთელმა მუხლის ტრავმა პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „მალიორკასთან“ მატჩისას მიიღო. როგორც ესპანელი ექიმები ამბობენ, მთავარია, რომ ვან ბრონკჰორსტი საოპერაციო არ არის, თუმც გამოკვლევა და დასვენება აუცილებლად სჭირდება.

**რუმინელი** თავდამსხმელი ჩიპრიან მარიცა ბუქარესტის „დინამოდან“ დონეცკის „შახტარში“ გადავიდა. 21 წლის ფეხბურთელმა უკრაინულ კლუბთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, „შახტარმა“ „დინამოს“ მის სანაცვლოდ 2 მილიონი დოლარი გადაუხადა.

**ინგლისურმა** „ჩელსიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ფეხბურთელების გაცვლა შესთავაზა, ირლანდიელ ნახევარმცველ დემიენ დაფის სანაცვლოდ მცველი რიო ფერდინანდი დაგვითმეო. რომან აბრამოვიჩის ემისრებმა მანჩესტერელებს ისიც შეუთვალეს, ცხადია, თანხასაც დაგიმატებთო. მოლაპარაკებები ჯერ არც დაწყებულა.

**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, პორტუგალიელი გამთამაშებელი მანუელ რუი კოშტა გუნდიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში წავა, თუ ამას თვითონ ისურვებსო. მოგეხსენებათ, რუი კოშტას წლეულს „მილანის“ ძირითადში ადგილი ახალგაზრდა ბრაზილიელმა კაკამ დააკარგვინა. ცნობილია ისიც, რომ პორტუგალიელს ლისაბონის „ბენფიკა“ და „ბარსელონა“ ეპატიჟებიან.

**საფრანგეთის** ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შესაძლოა, ნისლიან ალბიონზე გააგრძელოს საქმიანობა. მას არაერთი ინგლისური პრემიერლიგის კლუბი ეპატიჟება, გამორჩეულად კი „ტოტენჰემ ჰოთსპური“ და „ლივერპული“ აქტიურობენ. 52 წლის სანტინიმ თქვა, წინადადებები მართლაც მაქვს და საკმაოდ მაცდურიც, თუმც ჩემი უმთავრესი საზრუნავი ქვეყნის ნაკრების ევრო 2004-ზე წარმატებით გამოსვლააო.

Copa Toyota Libertadores '2004

## ლიბერტადორესის თასი 2004. ჯგუფური ეტაპი

### II ჯგუფი. III ტური

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 2:0 ონსე კალდასი (კოლუმბია)**

1:0 ვალდემარინი (35), 2:0 ზარატე (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ონსე კალდასი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ველეს სარსფილდი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მარაკაიბო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ფენიქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |

### VI ჯგუფი. III ტური

**დეპორტივო ტაჩირა (ვენესუელა) 2:0 ლიბერტადი (პარაგვაი)**

1:0, 2:0 რონდონი (35, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო ტაჩირა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| რივერ პლეიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| დეპორტეს ტოლიმა | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ლიბერტადი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### IX ჯგუფი. III ტური

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 3:2 ოლიმპია (პარაგვაი)**

0:1 ფრანკო (2), 1:1 ზეგარა (52), 2:1 ბონეტი (55), 3:1 სერჟიო ჟუნიორი (64), 3:2 ერნან ლოპესი (88პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგ კრისტალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 |
| როსარიო სენტრალი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ოლიმპია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |
| კურიტიბა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |



*საქართველოს ნაკრების მწვრთნელი 52 წლის ფრანგი ალენ ჟირესია!*

*გუშინ მწვრთნელმა ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მიერ შეთავაზებული და წინასწარ ხელმოწერილი კონტრაქტი მიიღო და სიტყვიერი თანხმობა თავისი ხელმოწერითაც დაადასტურა.*

*კონტრაქტი ორწლიანია, ანუ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე. მწვრთნელსა და ფედერაციას შორის არის ასეთი შეთანხმებაც — წარმატებული მუშაობისას ჟირესთან კონტრაქტი გაგრძელდება. სხვა, მათ შორის ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული დეტალები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია*

# რა ხალხი, რა სახელები

## სააკაშვილი, პლატინი, ჟირესი, ჟორდანია და ბოსკამპი აგადმყოფი ქართული ფეხბურთის სასთუმალთან





როგორც იქნა! მერაბ ჟორდანიამ საქართველოს ნაკრებს ალენ ჟირესი ჩააბარა

— დიახ, ალენ ჟირესმა კონტრაქტს ხელი მოაწერა და უკვე მუშაობას შეუდგა, ის თბილისში 30 მარტამდე ჩამოვა და გუნდს გერმანიის ახალგაზრულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის მოამზადებს — გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ — კონტრაქტის ფინანსური მხარე კონფიდენციალურია და მწვრთნლის ანაზღაურებაზე ვერაფერს გეტყვით. ჟირესი საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე უხელმძღვანელებს. და თუ გუნდმა მის ხელში კარგ შედეგს მიაღწია, კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ჩვენი თანამშრომლობა გაგრძელდება.

**— კარგ შედეგად რა ჩაითვლება?**

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში.

**— გერმანელ ახალგაზრდებთან მატჩისთვის ჟირესი შემადგენლობას როდის, ვისი რეკომენდაციით გამოაცხადებს?**

— შემადგენლობას როდის გამოაცხადებს, ეს მან იცის და ამის თაობაზე ფედერაციის შესაბამის სამსახურს შეატყობინებს. ნაკრების კანდიდატთა გაფართოებულ სიას კი მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძე და რევაზ არველაძე ამ დღეებში მიაწვდიან.

**— ჟირესს ნაკრებში სამუშაოდ საფრანგეთიდან მხოლოდ გია გურული მოჰყავს თუ ფრანგებიც?**

— ვინმეს ჩამოყვანას რომ აპირებდეს, აქამდე იტყოდა. ყოველ შემთხვევაში, მეკარეთა და ფიზმომზადების მწვრთნელებზე ჟირესს ჯერ არაფერი უთქვამს. ნაკრებში ამ პროფილის სამუშაოს, ალბათ, თავად გასწვდება. ქართველები კი მას დაეხმარებიან.

**— ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თაობაზე რას გვეტყვით?**

— ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. დასამალი უკვე აღარაა, რომ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად იოჰან ბოსკამპის მოწვევა გვსურს და მასთან წინასწარი მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. საბოლოო პასუხს ბოსკამპი დაახლოებით ორ კვირაში გვეტყვის. ის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის.

**— რამდენად რეალურად გეჩვენებათ ბოსკამპის საქართველოში დაბრუნება?**

— ყოველ შემთხვევაში, მას ესიამოვნა, როცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა შევთავაზეთ.

გუშინვე, როდესაც ალენ ჟირესი ტულუზში ფედერაციასთან კონტრაქტს აფორმებდა, პარიზში ქართული ფეხბურთისთვის ერთობ მნიშვნელოვანი შეხვედრა მიმდინარეობდა. საფრანგეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ალბათ, ჯერ უეფას, სამომავლოდ კი შესაძლოა ფიფას პრეზიდენტიც, ჟირესის მეგობარი მიშელ პლატინი მიიღო.

— მიხეილ სააკაშვილს პარიზში გადატვირთული სამუშაო გრაფიკი ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მადლობელი ვარ, რომ დრო გამონახა და ჩვენი მეგობარი მიშელ პლატინი მიიღო — გვითხრა მერაბ ჟორდანიამ, როცა მიხეილ სააკაშვილისა და მიშელ პლატინის შეხვედრა ახალდამთავრებული იყო — პრეზიდენტმა და პლატინიმ დაახლოებით 40 წუთი ისაუბრეს და მათი შეხვედრა უფრო გაცნობითი ხასიათისა იყო. პლატინიმ იცოდა, რომ პრეზიდენტს ქართული ფეხბურთი პირად კონტროლზე ჰყავს და მასთან შეხვედრისას ფრანგი ძალიან კმაყოფილი დარჩა. პლატინიმ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ ნაკრების მწვრთნელად ჟირესის დანიშვნით სწორი ნაბიჯი გადავდგით. პლატინი ჩვენთვის სასიკეთო საფეხბურთო პროექტების განხორციელებაშიც ხელშეწყობას დაგვპირდა. სხვათა შორის, გუშინვე მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ 2006 წელს უეფას პრეზიდენტის არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

**— პლატინისთან პირადად არ გისაუბრიათ?**

— ვისაუბრეთ, ოღონდ ჯერ ბევრს ვერაფერს გეტყვით.

**— რისი თქმაც შეგიძლიათ, ის გვითხარით...**

— მისი საარჩევნო კამპანიის წარმართვაზე ვისაუბრეთ. უეფას აღმასკომის სხდომისთვის ვემზადებით, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება.

**— ისე საუბრობთ, უეფას პრეზიდენტის არჩევნებზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხმა პლატინის გარანტირებული ექნება...**

— დიახ, რა თქმა უნდა...

**— ... და თქვენ მის საარჩევნო შტაბში ხართ?**

— შეგიძლიათ ასეც ჩათვალოთ.

შეგახსენებთ, რომ იანვარში უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა მოსკოვში ოფიციალურად განაცხადა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს... მიშელ პლატინი კი, ალბათ დაგვეთანხმებით, ამ პოსტზე თავის კანდიდატურას ტყუილად არ წამოაყენებდა.

გუშინვე მერაბ ჟორდანია უეფაში, წინასაალმასკომო შეხვედრებზე გაემგზავრა.

**ქობა ინასარიძე**

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

**ჩვენი მეტოქე**

# ულუსოი გიუნეშს ძირს უთხრის

## მენიჩბეები ტრაპატონი, სკოლარი და კაპელო არიან



### თურქეთი

**შენოლ გიუნეში** მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე თურქეთის ნაკრების მწვრთნელი იყო და ბრინჯაო მოიგო.

შენოლ გიუნეში ეროვნულ გუნდს ევრო-2004-ის შესარჩევ ტურნირში თავკაცობდა და პლეი ოფში უსახელო ლატვიასთან დამარცხდა.

ოსმალოთა მთავარსარდალი ამჟამადაც ნაკრების მწვრთნელია, მაგრამ შესაძლოა, ადგილი სხვას დაუთმოს.

ლატვიასთან წაგება ჩვენმა მეზობელმა თითქოს ჩაყლაპა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი გიუნეშს კვლავ ენდო და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევიც მას ჩააბარა, მაგრამ...

თურქულ გაზეთ „ფანატიკის" მიერ გავრცელებული გუშინდელი ინფორმაციის თანახმად, ჰალუკ ულუსოისა და შენოლ გიუნეშის გზები შესაძლოა, გაიყაროს.

ოსმალოთა თავკაცმა ერთი ამხანაგური მატჩის გამართვა თებერვალში მოასწრო და დანიასთან შინ დამარცხდა. ეს კიდევ ერთი მიზეზი შეიქნა საიმისოდ, რომ ხალხში ანტიგიუნეშური განწყობა გაღვივებულიყო.

ფედერაციის პრეზიდენტი არჩევნებისთვის ემზადება, რომელიც ივნისში გაიმართება. საარჩევნო ლოზუნგად ლატვიასთან დამარცხებული მწვრთნელის სახელის გამოყენება წამგებიანია, ამიტომ ჰალუკ ულუსოიმ საჯაროდ თქვა, შენოლ გიუნეშს წასვლაზე სიტყვა არ დასცდა, დარჩენას ნუ შევეხვეწებით, წავიდესო.

ულუსოიმ დასძინა, ნაკრებს ახალი, გამოცდილი და წარმატებული მწვრთნელი სჭირდებაო. კანდიდატთა შორის გაზეთებმა ორი ადგილობრივი დაასახელეს. ამჟამად „გალათასარაიდან" წასული ფათიჰ თერემი და ასევე „ტრაბზონსფორიდან" გათავისუფლებული სამეტ აიბაბა.

პრეზიდენტმა ორივე უარყო და თავისი ვარიანტები წამოაყენა. სახელები ძალიან შთამბეჭდავია: ლუის ფელიპე სკოლარი, ფაბიო კაპელო და ჯოვანი ტრაპატონი. სამი მწვრთნელიდან ორი ზაფხულიდან სამუშაოს დატოვებას აპირებს. სკოლარის მომავალი ჯერ გაურკვეველია, კაპელოს ადგილის გამოცვლა სურს, ტრაპატონიმ კი ადრევე განაცხადა, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდნ წავალო.

ასე რომ, მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევი ციკლი შესაძლოა, თურქეთმა შენოლ გიუნეშის გარეშე და ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე მწვრთნელის ხელქვეით დაიწყოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები**

ოზურგეთი. 10 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

**მერცხალი 2:1 ქობულეთი**

ბათუმი. 10 მარტი. 15 საათი. დინამო

**ბათუმი 1:0 მცხეთა**

1:0 ფირცხალაიშვილი (47)

„მცხეთას" პრეზიდენტმა ვლადიმერ გუცაევმა თავისი კლუბი სეზონის ბოლომდე რეგიონალლიგელ „ურიონს" შეუერთა, თავად კი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისთვის ემზადება.

„ურიონი" კორპორაცია „აბრეშუმის გზის" გუნდია, „მცხეთა" კი გუცაევისა და მისი მეგობრების დაფუძნებული უმაღლესი ლიგის დებიუტანტია, რომელმაც ერთი ხანობა ლიდერების ზედიზედ ძლევით კერკეტი გუნდის სახელი დაიგდო.

გუცაევი და „ურიონის" ხელმძღვანელობა კლუბების გაერთიანების თაობაზე ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, საბოლოო შეთანხმებას კი ამ ორი-სამი კვირის წინ მიაღწიეს. გადაწყდა, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში „მცხეთა-ურიონის" სახელით ითამაშებს



# გუცაევს ცხრიანი პოლიტიკაშიც არ ასცდა

## მცხეთას პრეზიდენტი გენერალურ მდივნობას გენერალურად უარყოფს

— „მცხეთა" არ გაყიდულა, გუნდი სეზონის ბოლომდე „ურიონს" შეუერთდა, ესაა და ეს — გვითხრა ვლადიმერ გუცაევმა — კონტრაქტი 1 ივნისამდეა გაფორმებული, მერე კი ხელშეკრულების პირობებს გადავხედავთ და ვნახოთ, შესაძლოა, ჩემპიონატში მონაწილეობა ისევ ძველებურად, ცალ-ცალკე განვაგრძოთ, ანაც ისევ ერთ გუნდად. „ურიონთან" გაერთიანება „მცხეთას" ფინანსურ-მატერიალურმა გაჭირვებამ გადაგვაწყვეტინა, ჩვენ გუნდის შენახვის პრობლემები გვქონდა. ახლა კი „მცხეთა-ურიონის" ძირითადი დამფინანსებელი „ურიონის" მხარე იქნება. თუმც ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რა თქმა უნდა, „მცხეთასთან" შეთანხმდება. პრეზიდენტი ისევ მე ვარ, გენერალური მენეჯერი ვაჟა თოფურია, მწვრთნელი კი რუსეთიდან დაბრუნებული ჯანო ფოფხაძე.

**— ახალ ხელმძღვანელობას, ალბათ, ახალი ფეხბურთელებიც მოჰყვებიან...**

— არა, „მცხეთა-ურიონი" ძირითადად ჩვენი ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული, თუმც რამდენიმე პერსპექტიულ ბიჭს „ურიონიდანაც" დავიმატებთ.

**— სად ითამაშებთ?**

— ძველებურად მცხეთაში, სავარჯიშოდ კი „მაუდსა" და ეროვნულის სათადარიგო მოედანს გამოვიყენებთ.

**— გეგმებზე რას გვეტყვით?**

— ჯერ ჩემპიონატი ჩავამთავროთ და დანარჩენზე მერე ვთქვათ.

**— უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება არ გაგიჭირდებათ?**

— დღესდღეობით ჩვენი მიზანი სწორედ ესაა. ჯანო ფოფხაძე გამოცდილი მწვრთნელია, ფეხბურთი კარგად იცის, მისი იმედი გვაქვს. ისე კი, პირველ ეტაპზე თუ ლიდერებს ვძლიეთ, ახლა ქვექვსეულის გუნდები რატომ ვერ უნდა დავამარცხოთ?! ვნახოთ, ჩემპიონატი მალე დაიწყება.

**— ახლა თქვენი ამბები გვითხარით. საპარლამენტო არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას?**

— ვაპირებ კი არა, ვმონაწილეობ — ნაციონალ-დემოკრატების გაერთიანებული სიის 39-ე ნომერი ვარ. ნოემბრის არჩევნებისას დეპუტატობის მაჟორიტარი კანდიდატი ვიყავი, ახლა კი პარტიული სიით ვმონაწილეობ და დიდი იმედი მაქვს დეპუტატის მანდატსაც მივიღებ.

**— ბოლო დროს ხმები დაირხა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის პოსტზე გუცაევის კანდიდატურაც განიხილებაო...**

— ჩემი კანდიდატურა განიხილება თუ არა, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ გუცაევის გენმდივნობა გამორიცხულია.

**— ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში თუ აპირებთ მონაწილეობას?**

— ეს მომავლის საქმეა და ამ საკითხზე ჯერ არ დავფიქრებულვარ.

**— კეთილი. საქართველოს ნაკრების მწვრთნელზე რას იტყვით?**

— ალენ ჟირესისა მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრე პსჟ-ს და „ტულუზს" წვრთნიდა და დიდი არაფერი შედეგი ჰქონია. საერთოდ კი, წმინდა ფინანსურ-მატერიალური თვალსაზრისით, ამ ეტაპზე ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის წინააღმდეგი ვარ. სჯობდა, ის ფული, რაც ჟირესს უნდა გადაუხადონ, ქართულ ფეხბურთში დაებანდებინათ. უცხოელი მწვრთნელისთვის მიცემული ფული დაკარგული მგონია.

**— რატომ?**

— ორ-სამ თამაშს ქართველი მწვრთნელიც მოიგებს.

**— არ გაქვთ იმედი, რომ უცხოელი, კონკრეტულად ჟირესი მეტ მატჩს მოიგებს?**

— საქართველო ჯერ არ არის მზად მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ. საამისოდ საფუძველი უნდა მომზადდეს, შემუშავდეს, სულ მცირე, განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, ამაღლდეს ეროვნული ჩემპიონატის დონე, შეწყდეს ფეხბურთელთა მასობრივი მიგრაცია... როცა ჩემპიონატში „დინამოს" შეძლების ხუთი-ექვსი გუნდი იქნება, დანარჩენები კი საშუალო დონეს მაინც მიაღწევენ, მაშინ უკვე შეგვეძლება ჩვენი ფეხბურთის აღმავლობაზე ლაპარაკი.

**— თქვენ ნაცმოძრაობის წევრი ხართ, ქვეყნის პრეზიდენტი და ნაციონალების ლიდერი მიხეილ სააკაშვილი კი უცხოელი მწვრთნელის დანიშვნის მომხრეა. ეს როგორ გავიგოთ?**

— ჩვეულებრივ, რა პრობლემას ხედავთ? გუცაევს ამ საკითხზე თავისი შეხედულება აქვს. ჩემი აზრი ბევრჯერ გამომითქვამს და მიხეილ სააკაშვილმა ეს იცის.

**კობა ინასარიძე**

# მოდებაძის სია თბილისია

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა ირაკლი მოდებაძემ და ზაპოროჟიეს „მეტალურგმა" ერთმანეთს ხელი დაუქნიეს. კლუბის და ფეხბურთელის ასეთი სურვილი გუშინ ოფიციალურად დამტკიცდა: ზაპოროჟიელებმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში ჩემპიონატში მონაწილეთა 22-კაციანი განაცხადი აფრინეს, სადაც ჩვენებურის გვარ-სახელი არ წერია.

ირაკლი მოდებაძეს სეზონის დაწყებამდეც სურდა „მეტალურგიდან" წასვლა, თუმც ამაში ხელი ტრავმამ შეუშალა. 19 წლის მოდებაძისთვის ახალი კლუბის მოძიება არც ისე ადვილი იყო — მას ხომ თითქმის მთელი პირველი წრე გაუცდა. „მეტალურგში" ირაკლი ერთადერთხელ გამოჩნდა, შეცვლაზე ითამაშა და მოშუშებული ფეხი ხელმეორედ დაიზიანა.

ცოტა ხნის წინ ირაკლი ელისტის „ურალანში" ცდილობდა ფეხის მოკიდებას, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ახლა ჰორიზონტზე ქართული კლუბებიც გამოჩნდნენ — თბილისის „დინამო" და „თბილისი". ვისი აჯობებს?

**ბახა შალამბერიძე**

# ახალკაცი პრაქტიკული კაცია

## ძირითადზე ოცნებას დუბლებში თამაში ურჩევნია

*ნაახალწლევს ქუთაისის „ტორპედოდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასული რომან ახალკაცის საქმეები წინ მიდის. მართალია, ჩვენებური რკინიგზელებმა სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს, მაგრამ ამ ეტაპზე სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი იყო. ახალკაცი კი სულაც არ გრძნობს ახალ გუნდში თავს ახალი კაცივით, იქაურებს გაუშინაურდა და სოჭურ შეკრებაზე გოლების გატანაც დაიწყო. „მინილოკომოტივი" ახლა მოსკოვშია და ჩვენც რომან ახალკაცს გავესაუბრეთ...*

**— როგორ მიდის შენი საქმეები?**

— ნორმალურად. სარეზერვო გუნდში ვვარჯიშობ, ბიჭებსაც დავუახლოვდი. ასე რომ, პრობლემები დავძლიე. ახლა თავს შინაურულად ვგრძნობ.

**— სოჭურ შეკრებაზე რას იტყვი?**

— სოჭში ჩემი წასვლა ბოლოს გადაწყდა. „ლოკომოტივი" ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადებოდა და უყურადღებოდ რომ არ დავრჩენილიყავი, იური სიომინმა სარეზერვო გუნდში გადასვლა მირჩია. ასე უკეთესი იყო. შეკრება გავიარე, ფიზიკურად მოვღონიერდი და ბოლო ამხანაგურ მატჩებში გოლებიც გავიტანე.





**— ესე იგი, სარეზერვო გუნდში დროებით ხარ...**

— ვარჯიშით დიდ „ლოკომოტივში" ვივარჯიშებ. ფარმკლუბს კი ჩემპიონატში დავეხმარები. „ლოკომოტივში" ძალიან დიდი კონკურენციაა და ახლა იქ თამაში გამიჭირდება. ამიტომ ჯობს, პრაქტიკა დუბლებში შევინარჩუნო.

**— სოჭში გოლები გაგიტანია, რითაც ადრე მაინცდამაინც ხშირად ვერ გამოირჩეოდი...**

— ამპლუა შევიცვალე. მწვრთნელმა მითხრა, შენნაირ სწრაფ კაცს ნახევარდაცვაში არაფერი ესაქმებაო და თავდამსხმელად მათამაშებს. მეც გავამართლე და დამპირდა, ყველაფერს სიომინს გადავცემო...

**— იმედი გაქვს, რომ ამ სეზონში რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებ?**

— იმედი კი მაქვს, მაგრამ მართლა ძნელი იქნება. აქაურობას თანდათან ვეჩვევი. თავიდან ზედმეტად მორიდებული ვიყავი, მერელა გავშინაურდი. მწვრთნელებმაც შემაქეს და თვალში გამოვიხედე. ამიტომ მირჩევნია, ჯერ ისევ სარეზერვო გუნდში მოვმაგრდე. ისე, საქართველოშიც მსგავსი პრობლემები მქონდა — „კოლხეთში" და „ტორპედოში" ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა თავიდან ძალიან მიჭირდა. მაშინაც თანდათან მოვუმატე და ავთამაშდი.

**— საქართველოდან პირდაპირ მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასვლა ისედაც არაა იოლი საქმე...**

— რა თქმა უნდა. „ლოკომოტივი" სერიოზული გუნდია, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს... მაგრამ, სიმართლე გითხრა, დიდად არ გამჭირვებია. საფრანგეთში შეკრებაც გავიარე და საკმაოდ კარგად გადავიტანე აქაური ვარჯიშები.

**— გატყობ, ამ სეზონში „ლოკომოტივში" ვერთამაშს კატასტროფად არ თვლი...**

— ეგრეა. „ლოკომოტივის" ძირითადზე ოცნებას მირჩევნია, დუბლებში თამაშით დავამტკიცო ჩემი ძალა და სიომინის ყურადღება ასე მივიქციო.

**— ბაზაზე ცხოვრობ თუ ბინა მოგცეს?**

— ოთახი ბაზაზეც მაქვს და ბინაც უკვე ავარჩიე. ამ მხრივ არაფერს ვუჩივი.

**— „ლოკომოტივში" ექსტორპედოელი ანდრი პოროშინი ისინჯებოდა. მისი საქმე როგორაა?**

— მგონი, კონტრაქტს უფორმებენ, მაგრამ, როგორც გავიგე, განათხოვრებას უპირებენ. ისე, ჯერაც ჩვენთანაა და მონდომებით ვარჯიშობს.

**ბახა შალამბერიძე**

# შარი შერიფისთვის

**თურქულ** შეკრებაზე მყოფი მოლდოვური „შერიფი" იქაურ მსაჯებს გამოენთო და უკრაინულ „ვორსკლასთან" ამხანაგური მატჩი ჩაშალა. ეს ამბავი გუშინწინ, მატჩის მე-60 წუთზე მოხდა, როცა თურქმა მსაჯმა „შერიფის" კარში პენალტი დანიშნა. მოლდოველთა აღშფოთება და გაწევ-გამოწევა, ცხადია, უშედეგო გამოდგა, პასუხად ტირასპოლელებმა მოედანი დატოვეს და სპარინგიც ჩაიშალა. იმ დროისთვის „შერიფი" 1:0-ს იგებდა.



საინტერესოა ისიც, რომ პენალტამდე მსაჯმა „შერიფის" ქართველი კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი გააძევა. საერთოდაც, მატჩი ძალიან ნერვული გამოდგა. ფეხბურთელები ხშირად ეკამათებოდნენ მსაჯებს. მალე მოლდოველები უკრაინელებსაც დაერივნენ და მოედანზე საქმის გარჩევა უფრო სჭარბობდა, ვიდრე ბურთის დევნა.

გეხსომებათ, მსგავსი საქციელით ტირასპოლელები წლევანდელ ესენგეს თასზე თბილისის „დინამოსთან" მატჩშიც „გამოირჩნენ" და კაი ხურდაც მიიღეს.

თარხნიშვილის გარდა „შერიფის" ძირითადში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველმა მურთაზ ბურნაძემაც ითამაშა. მესამე ჩვენებური ვალტერ ხორგუაშვილი კი სარეზერვო გუნდში გადაიყვანეს.

დღეს „შერიფი" ბელარუსულ ბატე-ს გაეჯიბრება და რამდენიმე დღეში შინ დაბრუნდება. მოლდოვის ჩემპიონატის მესამე წრე 20 მარტს იწყება. ლიდერი „შერიფი" პირველ ტურში „დაჩიას" უმასპინძლებს.

**ბახა შალამბერიძე**

ივერიელი

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან



# ვკითხულობდი დი სტეფანოზე, ვდებდი სანაძლეოს და ვარტყამდი წუთებში



*70-იანი წლების ქართველი ვარსკვლავი, ბურთის ფეხებში ღონივრად მომგდები და მისი არდამკარგავი, „მატაობის“ დიდი ოსტატი...*

*მანუჩარ მაჩაიძეს მოსაგონარი ბევრი აქვს, თუმც ამჯერად ოდენ ორი ამბის მოსაყოლად მოვაცდინეთ.*

*ეს ორი ამბავი სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა, ორივე პომპეზურია და ორივე 1972 წლით თარიღდება — 32 წლის წინათ მანუჩარ მაჩაიძემ ორი მნიშვნელოვანი, ლამაზი და დაუვიწყარი გოლი გაიტანა.*

*ამ ორ გოლზე ახლაც ბევრს ლაპარაკობენ, მათ 32 წელს ადვილად გაუძლეს და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მაჩაიძემ ლამაზად გაიტანა — აქ უფრო სხვა რამეში უნდა იყოს საქმე...*

***დავით თავართქილაძე***



## მანუჩარული გოლებით დახატული ერევან-პარიზი

1972 წელს თბილისის „დინამოს“ გავრილ კაჩალინი წვრთნიდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი წრე ახალი დაწყებული იყო და შინ ერევნის „არარატს“ ვხვდებოდით. კაჩალინმა ექსპერიმენტული შემადგენლობით გაიყვანა გუნდი „არარატთან“ და 1:4 წავაგეთ.

თუმც მომდევნო თამაშები კარგად ჩავატარეთ და იმ სეზონში მიზანიც დავისახეთ — მესამე ადგილზე უნდა გავსულიყავით. იმ დროისთვის „არარატიც“ ძლიერი გუნდი იყო, საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა.

სწორედ იმ სეზონში, მეორე წრისთვის ერევანში გაიხსნა „რაზდანის“ სტადიონი. ჩვენთან შეხვედრამდე „არარატმა“ „რაზდანზე“ რამდენიმე მატჩი ითამაშა და ერთხელაც არ წააგო.

მოკლედ, დადგა ჩვენი „რაზდანზე“ თამაშის დროც. მატჩმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია, ერევანში სხვადასხვა ქვეყნებიდანაც ჩამოვიდნენ სომხური სათვისტომოების წარმომადგენლები — „არარატის“ და „დინამოს“ შეხვედრებს მართლაც განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა.

„რაზდანი“ გაივსო, დაახლოებით 100 ათას კაცამდე შეგროვდა. თამაშის წინ უმეტესობას ეგონა, რომ „არარატი“ 4:0, 5:0 თუ 6:0 მოგვიგებდა — ასეთი განწყობა იყო გადაჭედილ, ლამაზ „რაზდანზე“.

მოტივაცია ჩვენც დიდი გვქონდა, რასაც ისიც აძლიერებდა, რომ პირველ წრეში დავმარცხდით. ჩვენთვისაც განსაკუთრებულად ფასეული იყო „არარატთან“ გამარჯვება. მახსოვს, სექტემბერი იყო, ერევანში ცხელოდა, მაგრამ ისეთი სიტუაცია სუფევდა, თამაში და მოგება ძალიან გვინდოდა.

მატჩი ახალი დაწყებული იყო, ასე, მე-8 თუ მე-10 წუთი იქნებოდა, როცა მოედნის ცენტრში მივიღე ბურთი, 2 თუ 3 მეტოქე ჩამოვიცილე და მარჯვენა ინსაიდის პოზიციიდან, „არარატის“ საჯარიმოში არშესულმა ისე დავარტყი, რომ შორეულ კუთხეში გავუტანე აბრამიანს.

ამის მერე ჩვენზე ზეწოლა გაძლიერდა, თითქოს ყველა და ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ იყო, მათ შორის ასიათასიანი „რაზდანიც“, მაგრამ გოლიდან დაახლოებით ხუთ წუთში ორი კაცი მოვატყუე და ისევ გავიტანე, თუმც მსაჯმა არ ჩათვალა — დამაჯარიმა, არადა, თამაშის წესები არ დამირღვევია.

ამასობაში „არარატის“ ზეწოლა გაძლიერდა, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავუძელით და მატჩი 1:0 მოვიგეთ. არჩათვლილ გოლს თავი რომ დავანებოთ, კიდევ შეგვეძლო აბრამიანისთვის გატანა, მაგრამ ბესო მჭედლიშვილის დარტყმული ბურთი „არარატის“ კარის ჯერ ერთ ძელს მოხვდა, მერე მეორეს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს შეხვედრა დიდი მატჩი იყო და მოგებამ დიდი სიხარული მოგვანიჭა. დასახულ მიზანსაც მივაღწიეთ — იმ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედით. ისიც უნდა ვთქვა, რომ „არარატში“ მაშინ ძალიან კარგი, ტექნიკური ფეხბურთელები თამაშობდნენ: მარქაროვი, იშტოიანი, ანდრიასიანი, ზანაზიანი...

იმ დღეს ერევნის რესტორნებში ბევრს ჰქონდა მაგიდა შეკვეთილი, რათა „დინამოზე“ გამარჯვება აღენიშნათ, მაგრამ...

მაშინ მატჩის შემდეგ გუნდებს ბანკეტები არ ჰქონდათ, ჩვენც სუფთა სპორტსმენები ვიყავით, ალკოჰოლს არ ვსვამდით. მოკლედ, არანაირი ბანკეტიო, მაგრამ ამ მატჩის შემდეგ „არარატის“ ფეხბურთელმა სერგეი ბონდარენკომ მე მაინც დამპატიჟა რესტორანში, თუმც არ დამილევია, უბრალოდ, ვივახშმეთ.

იმდროინდელი „დინამო“ 4-3-3 სქემით თამაშობდა. კარში სტეფანია, დაცვაში ხურციალა, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, შუაში მე, პეტრიაშვილი და მჭედლიშვილი, თავდასხმაში უფრო ხშირად გუცაევი და გივი ნოდია იყვნენ.

მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და მიყვარდა სანაძლეოების დადება. „არარატთან“ ამ მატჩის წინ დავენიძლავე მეგობრებს, ბურთს აუცილებლად გავიტან, თანაც პირველ ათ წუთშიმეთქი. ჰოდა, ბიჭებმა იკისრეს წაგებული პურ-მარილი, სუფრაზე ჩვენთან ერთად ზურაბ ქაფიანიძეც იყო.

მსგავსი სანაძლეო ხშირად დამიდია სხვა მატჩებზეც და ხშირად ვიგებდი კიდეც. რატომ მიყვარდა სანაძლეო? წაკითხული მქონდა, რომ ალფრედო დი სტეფანო ასეთ სანაძლეოზე დიდ ფულს ჩადიოდა და მეც მისი მიბაძვა მსურდა. თუმც ასაკის მატებასთან ერთად სანაძლეოს დადების ჟინმა გადამიარა და შევეშვი ამას — მერე და მერე ამის დრო აღარც იყო.

იმავე წელს, გაზაფხულზე პარიზის „პარკ დე პრანსის“ სტადიონს რეკონსტრუქცია გაუკეთეს და განახლებული „პარკ დე პრანსის“ გახსნაზე ერთმანეთს საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრებები შეხვდნენ. საბჭოთა ნაკრებში ქართველებიდან მე, გუცაევი და გივი ნოდია ვიყავით მიწვეულნი.

პარიზითა და მისი სტადიონით ძალიან მოვიხიბლე, შეხვედრაც ჩვენ მოვიგეთ 3:0 და პირველი გოლი მე გავიტანე — ასეთი ფანტასტიკური ბურთი მთელ ჩემს კარიერაში არ გამიტანია.

იმ შეხვედრაში მარჯვენა ნახევარმცველად ვთამაშობდი. მეორე ტაიმში ბურთი ჩემს ფლანგზე, მეტოქის ნახევარზე 2-3 მეტრით გადასულმა მივიღე, მეტოქე მოვატყუე — ის მარჯვნივ წავიდა მე კი მარცხნივ წავიწიე, ცაციაზე გადავიტანე ბურთი და დაახლოებით 45 მეტრიდან შორეულ მაღალ კუთხეში გავიტანე. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ ორი გოლი შევუგდეთ ფრანგებს.

4-5 წლის წინ ერთი ჩემი მეგობარი თავის საქმეებზე გახლდათ პარიზში. ერთ-ერთ შეხვედრაზე მას ვიღაც ფრანგი გამოელაპარაკა და ჰკითხა, მანუჩარ მაჩაიძეს თუ იცნობთო. პასუხის შემდეგ ფრანგმა ჩემი მეგობარი შინ ვახშამზე მიიწვია. თურმე ეს ფრანგი იმ მატჩის მონაწილე ფეხბურთელი ყოფილა და სუფრაზეც ამაზე ულაპარაკიათ.

ძალიან საწყენია, რომ ფეხბურთი ახლა საქართველოში ჩავარდნილია, ადრე კი ქართულ ფეხბურთს ჩვენი „დინამოთი“ ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. ვფიქრობ, ჩვენი ფეხბურთის უკუსვლა ქვეყნის წინა ხელისუფლების ბრალი იყო. ქართული ფეხბურთი ტექნიკით ფასობდა, დღეს კი ეს აღარ გვაქვს, რაც ფეხბურთელების არასწორი აღზრდის ბრალია. ქართველ ფეხბურთელებს ფიზიკური მომზადებაც არ უვარგათ.

# სარბიელი & კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 018 | ბოლტონი-ჩელსი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 019 | ბირმინგემი-ლესტერი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.00 | 020 | ბლექბერნი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| 19.00 | 021 | ჩარლტონი-მიდლსბრო | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 19.00 | 022 | ევერტონი-პორტსმუთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 023 | ფულემი-ლიდსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 16.30 | 024 | ვულვერჰემპტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 18.00 | 025 | სიტი-მანჩესტერი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 19.00 | 026 | ტოტენჰემი-ნიუკასლი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 20.05 | 027 | საუთჰემპტონი-ლივერპული | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 028 | ჰამბურგი-ჰერტა | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 029 | ბაიერნი-ჰანზა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 030 | ბაიერნი-ჰანზა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.30 | 031 | ვერდერი-კიოლნი | 1,15 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,03 | 3,33 |
| | 032 | ვერდერი-კიოლნი 0:1 | 1,55 | 3,3 | 3,3 | | | |
| 18.30 | 033 | ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 034 | ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 18.30 | 035 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 036 | აინტრახტი-შალკე | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 037 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 20.30 | 038 | შტუტგარტი-მიუნხენი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **იტალია. სერია A. XXV ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 039 | სამპდორია-ბოლონია | 1,8 | 2,9 | 4,4 | 1,11 | 1,27 | 1,74 |
| 23.30 | 040 | ემპოლი-ლეჩე | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 041 | ინტერი-კიევო | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 18.00 | 042 | ლაციო-უდინეზე | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 18.00 | 043 | პარმა-ბრეშა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 18.00 | 044 | პერუჯა-მოდენა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 18.00 | 045 | რეჯინა-რომა | 5,0 | 3,2 | 1,7 | 1,95 | 1,26 | 1,11 |
| 18.00 | 046 | სიენა-ანკონა | 1,2 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,03 | 2,6 |
| 23.30 | 047 | იუვენტუსი-მილანი | 2,45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 048 | რეალი-სარაგოსა | 1,28 | 4,8 | 9,0 | 1,01 | 1,12 | 3,13 |
| | 049 | რეალი-სარაგოსა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,0 | | | |
| 00.30 | 050 | სოსიედადი-ატლეტიკო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 051 | ვილიარეალი-ალბასეტე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 052 | ბეტისი-ოსასუნა | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 20.00 | 053 | მალიორკა-დეპორტივო | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 054 | ესპანიოლი-რასინგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.00 | 055 | მალაგა-ბილბაო | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 056 | ვალიადოლიდი-სევილია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.00 | 057 | მურსია-ბარსელონა | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1,95 | 1,21 | 1,11 |
| 24.00 | 058 | სელტა-ვალენსია | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 20.15 | 263 | ლე მანი-პსჟ | 3,8 | 3,1 | 1,95 | 1,7 | 1,28 | 1,19 |
| 23.00 | 264 | გენგამი-მონპელიე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 265 | ოსერი-მონაკო | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 23.00 | 266 | ლანსი-ბასტია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 267 | ნანტი-მეცი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.00 | 268 | ნიცა-რენი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.00 | 269 | სოშო-ლიონი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 270 | მარსელი-სტრასბური | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 21.00 | 271 | ტულუზი-ბორდო | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 23.45 | 272 | აიაჩო-ლილი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 21.15 | 289 | ბრაგა-ფერეირა | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 23.30 | 290 | ბელენენსეში-ნასიონალი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 01.15 | 291 | პორტუ-ბოავიშტა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 292 | ამადორა-რიუ ავე | 2,9 | 3,2 | 2,2 | 1,52 | 1,25 | 1,3 |
| 20.00 | 293 | ლეირია-ბეირა მარი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 20.00 | 294 | გიმარაეში-ჟილ ვისენტე | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 20.00 | 295 | აკადემიკა-მორეირენსე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.00 | 296 | ბენფიკა-მარიტიმუ | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 297 | სპორტინგი-ალვერკა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 313 | ტვენტე-ნაიმეგენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 314 | ჰერენვენი-ვოლენდამი | 1,22 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,08 | 3,33 |
| 22.30 | 315 | როსენდალი-გრონინგენი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 22.30 | 316 | ბრედა-ზვოლე | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 317 | ალკმაარი-უტრეხტი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 15.30 | 318 | პსვ-ფეიენოორდი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 17.30 | 319 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.30 | 320 | ვიტესი-დენ ჰააგი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 17.30 | 321 | აიაქსი-როდა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 337 | ჰეუსდენი-ლოკერენი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 338 | ანტვერპენი-მონსი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.00 | 339 | ლუვეე-ლიერსი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 340 | სტ.ტრუიდენი-მუსკრონი | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.00 | 341 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| | 342 | ანდერლეხტი-შარლერუა 0:1 | 1,5 | 3,3 | 3,6 | | | |
| 23.00 | 343 | ბევერენი-ბეერსხოტი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 344 | გენტი-სტანდარდი | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 18.00 | 345 | სერკლი-გენკი | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |
| 23.00 | 346 | ვესტერლო-ბრიუგე | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,65 | 1,26 | 1,26 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 363 | ადმირა-ზალცბურგი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 18.30 | 364 | ბრეგენცი-აუსტრია | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 18.30 | 365 | მატერსბურგი-კერნტენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 18.30 | 366 | რაპიდი-პაშინგი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 19.30 | 367 | გრაცერი-შტურმი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 377 | სერვეტი-ვილი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 378 | ბაზელი-თუნი | 1,2 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,43 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 379 | სტ.გალენი-ქსამაქსი | 1,65 | 3,5 | 4,6 | 1,12 | 1,21 | 1,98 |
| 17.30 | 380 | იანგ ბოისი-აარაუ | 1,5 | 3,8 | 5,6 | 1,07 | 1,18 | 2,26 |
| 19.15 | 381 | გრასჰოპერი-ციურიხი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **დანია. სუპერლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 398 | ფრემი-კოპენჰაგენი | 5,3 | 3,6 | 1,55 | 2,14 | 1,19 | 1,08 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 399 | ვიბორგი-ნორდსიელანდი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 400 | ორჰუსი-ოლბორგი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 401 | აკადემისკი-ჰერფიოლგე | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 402 | ოდენსე-მიდტიულანდი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 20.35 | 403 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 462 | სინოტი-ტეპლიცე | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| 20.00 | 463 | ოპავა-სიგმა | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,34 | 1,27 | 1,37 |
| 20.00 | 464 | ბუდეიოვიცე-პრჟიბრამი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 13.15 | 465 | ჟიჟკოვი-ზლინი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 466 | ბლშანი-ბრნო | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 467 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 20.20 | 468 | სლავია-სპარტა | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| | | **15 მარტი** | | | | | | |
| 19.40 | 469 | პლსენი-ბანიკი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| | | **ხორვატია. 1.HNL. XXI ტური** | | | | | | |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 492 | ზაგრები-ოსიეკი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 18.30 | 493 | ჰაიდუკი-სლავენი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 18.30 | 494 | ციბალია-დინამო | 4,8 | 3,5 | 1,6 | 2,02 | 1,2 | 1,09 |
| 18.30 | 495 | ინტერი-მარსონია | 1,7 | 3,2 | 4,2 | 1,11 | 1,21 | 1,81 |
| 21.00 | 496 | კამენი-რიეკა | 1,9 | 3,1 | 3,6 | 1,17 | 1,24 | 1,66 |
| 21.00 | 497 | ვარტექსი-ზადარი | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **12 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 508 | ლეგია-ოდრა | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | | **13 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 509 | პლოცკი-ლეჩნა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 21.00 | 510 | გურნიკი-ლეხი | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |
| 21.00 | 511 | პოლონია-ამიკა | 3,8 | 3,1 | 1,8 | 1,7 | 1,22 | 1,13 |
| 21.00 | 512 | სვიტი-ვიძევი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 21.15 | 513 | ვისლა-პოლკოვიცე | 1,12 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,02 | 4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 მარტი** | | | | | | |
| 20.15 | 514 | გროცლინი-კატოვიცე | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| | | **უეფას თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 010 | გენჩლერბირლიგი-ვალენსია | 3,3 | 3,2 | [illegible] | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 22.00 | 011 | ბორდო-ბრიუგე | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 23.30 | 012 | ოსერი-პსჟ | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 013 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 24.00 | 014 | ბენფიკა-ინტერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 24.00 | 015 | სელტიკი-ბარსელონა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 24.00 | 016 | ლივერპული-მარსელი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 00.30 | 017 | ვილიარეალი-რომა | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| | | **ლიბერტადორესის თასი.** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 04.15 | 607 | ტოლიმა-რივერ პლეიტი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 02.00 | 608 | სანტოსი(ბრ)-ბარსელონა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 02.00 | 609 | სან კაეტანო-ამერიკა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 06.30 | 610 | სენსიანო-ნასიონალი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა.** | | | | | | |
| | | **11 მარტი** | | | | | | |
| 22.40 | 1255 | ქალგირისი-მაკაბი | 2,1 | 10,0 | 1,55 | 1,73 | 1 | 1,34 |
| 23.40 | 1256 | ოლიმპია-ეფესი | 2,2 | 10,0 | 1,5 | 1,8 | 1 | 1,3 |
| 23.40 | 1257 | სიენა-პანათინაიკოსი | 1,4 | 10,0 | 2,4 | 1,22 | 1 | 1,93 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

13.03 16.30------------------6001------ინგლისი პლ (XXVIII)----------25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 18.30------------------6002------- გერმანია ბლ (XXIV)----------25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 21.00------------------6003----------- იტალია A (XXV)----------23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
13.03 22.30------------------6004------ ესპანეთი Iდ (XXVIII)----------25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
13.03 20.15------------------6005-- საფრანგეთი Iდ (XXVIII)----------21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
13.03 21.15------------------6006-- პორტუგალია სლ (XXVI)----------22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
12.03 23.00------------------6007------- ჰოლანდია Iდ (XXV)----------25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
12.03 23.30------------------6008---------- ბელგია Iდ (XXVI)----------25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**
**ინგლისი (13.03)**
არსენალი 1,04
მანჩესტერი 6,0
ჩელსი 10,0

**9002**
**გერმანია (13.03)**
ვერდერი 1,45
ბაიერნი 2,2
შტუტგარტი 15,0

**9003**
**იტალია (13.03)**
მილანი 1,35
რომა 4.0
იუვენტუსი 5,0

**9004**
**ესპანეთი (13.03)**
რეალი 1,01
ვალენსია 7,0
დეპორტივო 20,0

**9005**
**საფრანგეთი (13.03)**
მონაკო 1,25
ლიონი 3,2
პსჟ 7,0

**9006**
**პორტუგალია (13.03)**
პორტუ 1,01
სპორტინგი 10,0

**9007**
**ჰოლანდია (12.03)**
აიაქსი 1,03
პსვ 5,0

**9008**
**ავსტრია (13.03)**
ავსტრია 1,7
რაპიდი 3,0
გრაცერი 3,0

**9009**
**დანია (14.03)**
ბრიონდბიუ 1,3
ესბიერგი 4,0
კოპენჰაგენი 5,0

**9010**
**საბერძნეთი (13.02)**
ოლიმპიაკოსი 1,6
პანათინაიკოსი 2,0

**9011**
**უკრაინა (13.03)**
შახტარი 1,55
დინამო 1,95

**9031. NHL (05.04)**
კოლორადო 4,0
დეტროიტი 5,0
ფილადელფია 5,5
ვანკუვერი 6,0
ტორონტო 6,0
ნიუ ჯერსი 6,5
ოტავა 7,0
ტამპა ბეი 10,0
დალასი 12,0
სან ხოსე 15,0
ბოსტონი 18,0
სტ.ლუისი 25,0
ლოს ანჯელესი 25,0
კალგარი 30,0
აილენდერსი 40,0
მონრეალი 40,0
ნეშვილი 40,0

**9032. NBA (15.04)**
ლეიკერსი 2,0
საკრამენტო 3.5
სან ანტონიო 5.0
მინესოტა 6,0
დალასი 8,0
ინდიანა 10,0
ნიუ ჯერსი 12,0
დეტროიტი 15,0
ნიუ ორლეანი 30,0
ჰიუსტონი 50,0
ნიუ იორკი 60,0
ფილადელფია 75,0
ბოსტონი 75,0
დენვერი 75,0
ტორონტო 75,0
მილუოკი 75,0
მემფისი 75,0
პორტლენდი 100,0

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო)
## (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5210 გენჩლერი-ვალენსია ------------- 1,7 ------------------------ 1,9
5211 ბორდო-ბრიუგე ------------------ 1,7 ------------------------ 1,9
5212 ოსერი-პსჟ ---------------------- 1,65 ----------------------- 1,95
5213 ნიუკასლი-მალიორკა -------------- 1,8 ------------------------ 1,8
5214 ბენფიკა-ინტერი ----------------- 1,7 ------------------------ 1,9
5215 სელტიკი-ბარსელონა ------------- 1,75 ----------------------- 1,85
5216 ლივერპული-მარსელი ------------- 1,7 ------------------------ 1,9
5217 ვილიარეალი-რომა --------------- 1,7 ------------------------ 1,9

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5010 | გენჩლერი-ვალენსია | 4,0 | 2,05 | 2,5 | 1,35 | 1,53 | 1,12 |
| 5011 | ბორდო-ბრიუგე | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5012 | ოსერი-პსჟ | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5013 | ნიუკასლი-მალიორკა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 5014 | ბენფიკა-ინტერი | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |
| 5015 | სელტიკი-ბარსელონა | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5016 | ლივერპული-მარსელი | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 5017 | ვილიარეალი-რომა | 3,2 | 2,05 | 3,1 | 1,24 | 1,57 | 1,23 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5410 გენჩლერი-ვალენსია ------------- 2,1 ------------------------ 1,75
5411 ბორდო-ბრიუგე ------------------ 1,6 ------------------------ 2,4
5412 ოსერი-პსჟ ---------------------- 1,7 ------------------------ 2,2
5413 ნიუკასლი-მალიორკა -------------- 1,45 ----------------------- 2,8
5414 ბენფიკა-ინტერი ----------------- 1,9 ------------------------ 1,9
5415 სელტიკი-ბარსელონა ------------- 1,9 ------------------------ 1,9
5416 ლივერპული-მარსელი ------------- 1,4 ------------------------ 3,0
5417 ვილიარეალი-რომა --------------- 1,95 ----------------------- 1,85

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
## (ძირითადი დრო)

------------------------------- კი ------------------------ არა
5310 გენჩლერი-ვალენსია ------------- 1,65 ----------------------- 1,95
5311 ბორდო-ბრიუგე ------------------ 1,7 ------------------------ 1,9
5312 ოსერი-პსჟ ---------------------- 1,7 ------------------------ 1,9
5313 ნიუკასლი-მალიორკა -------------- 1,7 ------------------------ 1,9
5314 ბენფიკა-ინტერი ----------------- 1,65 ----------------------- 1,95
5315 სელტიკი-ბარსელონა ------------- 1,65 ----------------------- 1,95
5316 ლივერპული-მარსელი ------------- 1,7 ------------------------ 1,9
5317 ვილიარეალი-რომა --------------- 1,65 ----------------------- 1,95

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

11 მარტი
22.30 7009 გენჩლერი-ვალენსია --------4,0 ------------------------ 1,15
22.00 7010 ბორდო-ბრიუგე ------------ 1,65 ----------------------- 1,95
23.30 7011 ოსერი-პსჟ ---------------- 1,8 ------------------------ 1,8
23.45 7012 ნიუკასლი-მალიორკა ------ 1,45 ----------------------- 2,1
24.00 7013 ბენფიკა-ინტერი ----------- 2,5 ------------------------ 1,35
24.00 7014 სელტიკი-ბარსელონა -------- 2,2 ------------------------ 1,4
24.00 7015 ლივერპული-მარსელი ------ 1,4 ------------------------ 2,3
00.30 7016 ვილიარეალი-რომა ---------- 3,0 ------------------------ 1,25

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5510 | გენჩლერი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | ბორდო-ბრიუგე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | ოსერი-პსჟ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ნიუკასლი-მალიორკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ბენფიკა-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | სელტიკი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ლივერპული-მარსელი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ვილიარეალი-რომა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# საქართველოს ჩემპიონატი

10 მარტი. ვერის ბაღი

**თსუ 73:99 ბასკო**

17:31 18:16 15:23 23:29

თსუ: თოთრლაძე (16), მაისურაძე (6), ნაცვლიშვილი (5), ორმოცაძე, შენგელია (9); აბრამიძე (7), ფანჩულიძე (5), საყვარელიძე (3), ლეჟავა (3), სანიკიძე (2), კოკოლიშვილი (8), მარხვაშვილი (9)
ბასკო: დ. ბერიშვილი (8), ბ. ბერიშვილი (9), კეშელავა (19), ტუჯანი (20), ბერძენიშვილი (6); ი. ბერიშვილი (19), იმნაძე (14), როდუმტა (2), კვიმსაძე (2), მაისურაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

**ქუთაისი 48:90 რუსთავი**

15:17 20:30 6:20 7:23

ქუთაისი: შავლაყაძე (4), პირტახია (10), ნიჟარაძე (3), კოლუაშვილი (8), ნ. შანიძე (10); ცერცვაძე (13), მამისეიშვილი, ნარსია
რუსთავი: ლიპარტელიანი (4), ჩაჩუა (11), ჯიმშელეიშვილი (12), დანელიანი (12), ტყეშელაშვილი (16); არწივიძე (14), ბერუაშვილი (9), ტაბატაძე (5), ცეკვავა (4), გოგსაძე (3), გაბისონია
მსაჯები: მაკა კუპატაძე, ლიკა ქაჯაია
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

# ფიცი მწამს, თსუ მაკვირვებს
## შორიდან თუ ჩაუვარდა...



თსუ-ს ჯერ კიდევ საპოვნი აქვს საკუთარი თავი

უხერხულია, როცა ჩემპიონობაზე თამამად ლაპარაკობ და ვერ უგებ გუნდს, რომელიც ამ თემაზე უფრო კრძალვით საუბრობს. თუმც თსუ მხოლოდ „ბასკოს" კი არა, ვერც ველარავის უგებს ამ ბოლო დროს.

გუშინ ვერის ბაღში ერთხელაც ვნახეთ განადგურებული თსუ. რაც უფრო ძლიერი და ამბიციური შემადგენლობა გყავს, მით უფრო მწარედ გაკრიტიკებენ თითოეული მარცხისთვის, თსუ კი უკვე ყველა კონკურენტთან აგებს და მისი ხელმძღვანელობის საჩემპიონო განცხადებებისაც აღარავის სჯერა.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე თსუ-ს მხარემ თქვა, მოგება ჰაერივით გვჭირდება, რათა ბოლოს და ბოლოს დავამტკიცოთ ჩვენი ძალა-შესაძლებლობაო. ჯერ მხოლოდ, ის დაამტკიცა, რომ ერთი ხეირიანი კომბინაციის გათამაშება არ შეუძლია და მხოლოდ მაშინ შეიძლება ჰქონდეს წარმატების იმედი, თუ შორი სროლები წაუვა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს ყველაზე საამაყო მოგება ამ სეზონში სწორედ „ბასკოსთან" ჰქონდა მოპოვებული გასული წლის ნოემბერში. მაშინ სტუდენტებმა 21 ქულით სძლიეს ბათუმელებს და წესით, ახლა უფრო უკეთ უნდა ეთამაშათ. რატომ? სეზონის წინ თსუ-ში ბლომად გამოცდილი და ჩვენს ჩემპიონატში დაფასებული კალათბურთელი მივიდა, რომლებსაც გზადაგზა კიდევ მიემატა არანაკლები ძალა. ბუნებრივია, დრო იყო საჭირო ამ ხალხის შესათამაშებლად და თსუ-ს ხელმძღვანელობაც სულ ამას იძახოდა, გვაცადეთ, ბატონო, ახალი შეკრებილები ვართ, გავა პაწია ხანი და ნახავთ, რა მაღიანი გუნდი გვეყოლებაო. ამისა ჩვენც გვჯეროდა, რადგან იმ ხალხში დაეჭვება, რომლებსაც ლამის ყოველ სეზონში ჩემპიონის თასი ეჭირათ, ცოტა რთული საქმეა. ჰოდა, ველოდით, თსუ ფრთებს გაზადაზგა გაშლისო, მაგრამ ყველაფერი პირუკუ დატრიალდა. უნივერსიტეტელები უკვე იმ კონკურენტებთანაც უიმედოდ აგებენ, სეზონის დასაწყისში თითო-ოროლა გამარჯვება რომ დასტყუეს. მოკლედ ამაზეა ნათქვამია, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებსო.

წინასამატჩო პრესკონფერენციაო, ანონსიო, ესაო, ისაო, ყველაფერი ზედმეტი ყოფილა და არამი იყოს ამ უინტერესო მატჩზე. ეგებ დამნაშავე „ბასკოა", რომელმაც არ დაინდო „მრისხანე" მეტოქე და ხალხს ტრიბუნებზე მთქნარება დააწყებინა. თუმც რას ვერჩით ბათუმელებს, ისინი რასაც ამბობენ, ასრულებენ კიდეც. ზღვისპირელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა თქვა, თსუ-სთან ლაღად ვითამაშებთ, რადგან რეგულარულ ჩემპიონატში გამარჯვება ლამის განაღდებული გვაქვსო... ახლა კი ნაღდად განაღდებული აქვს.

თანაბარი ბრძოლა მხოლოდ საწყის წუთებში იყო, თსუ 5 ქულითაც კი დაწინაურდა — 11:6. ამ 11-დან 8 ქულა გამოცდილმა დავით თორთლაძემ მოაგროვა შორი სროლებით, დანარჩენი სამი კი ირაკლი მაისურაძემ ჩააგდო საჯარიმოდან, რადგან სამქულიანის სროლისას მასზე დავით ბერიშვილი დაჯარიმდა. ამ თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტზე იმად გავამახვილეთ ყურადღება, რომ გამოვაჩინოთ სტუდენტების ქულათა გროვების ერთადერთი ქმედითი იარაღი — შორი სროლები. „ბასკო" ისე ყოჩაღად იდგა დაცვაში, რომ სტუდენტებს თავად კახა შენგელიასთან ერთად ბათუმელთა სამწამიანში ფეხი არ ჩაედგმებოდათ. ეტყობა, ზღვისპირელებმა მართლა ნაყოფიერად ივარჯიშეს წინა დღეს სსუ-სთან, რომელსაც მხოლოდ 27 ქულა ჩააგდებინეს მთელ თამაშში.

ნახსენები 11:6-ის შემდეგ „ბასკომ" აიწყვიტა, მომდევნო ორნახევარი წუთი 10:0 მოიგო და სათავე დაუდო თსუ-ს განადგურებას. ბათუმელებმა შორი სროლების არხები გადაუკეტეს სტუდენტებს და ამით საბოლოოდაც მოუთავეს საქმე. „ბასკო" ნაირგვარი საშუალებებით იხვეჭდა ქულებს, როცა მის მეტოქეს ერთი ხეირიანი იარაღი არ გააჩნდა ამის გასაკეთებლად. ჟოლივეტ ტუჯანიმ და დავით ბერძენიშვილმა შიგნიდან (ფარქვეშიდან) დასეტყვეს სტუდენტების კალათი, ლაშა კეშელავამ კი 3 სამქულიანი მოინადირა და „ბასკომ" პირველი მეოთხედი 31:17 მოიგო. სტუდენტთა სამწვრთნელო შტაბი ბევრს ეცადა, ბლომად შეცვლებიც აკეთა, მაგრამ თსუ დარჩენილ 30 წუთში 10 ქულითაც ველარ მიუახლოვდა მეტოქეს და მორიგი მატჩი ჩააგდო.

თსუ-ს „ძალა" აგერ, ცხრილმაც გამოაჩინა. სტუდენტებს უკვე გადაუსწრო მთლად დასუსტებულმა და ახალგაზრდების იმედზე დარჩენილმა „რუსთავმა", რომელმაც გუშინვე უპრობლემოდ მოუგო უსუსტეს „ქუთაისს". ოთარ ხმელიძე თანადათან აწრთობს და „დიდ" მოედანს აჩვევს რუსთაველთა კიდევ ერთ თაობას. ხმელიძემ ამჯერად 17 წლის ზურა ტაბატაძეს უხმო დუბლიორებიდან, რომელმაც იმერლების დამარცხებაში 5-ქულიანი წვლილი შეიტანა.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 23 | 21 | 2 | +642 | 44 |
| სტუ | 22 | 16 | 6 | +341 | 38 |
| დინამო | 21 | 16 | 5 | +433 | 37 |
| რუსთავი | 22 | 13 | 9 | +160 | 35 |
| თსუ | 22 | 12 | 10 | +90 | 34 |
| მაკაბი | 21 | 7 | 14 | -149 | 28 |
| სსუ | 22 | 3 | 19 | -599 | 25 |
| ქუთაისი | 23 | 0 | 23 | -918 | 23 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი



ჯეფ ბზდელიკს დავთრები აერია

# გეხვეწებით, არ წააგოთ!
## ჯეფ ბზდელიკს გუნდი დაუვარდა

— 9 მარტი —

**ვაშინგტონი 87:117 დენვერი**
ვაშინტონი: დიქსონი (19), არენასი (23), ჰეიესი, ბრაუნი (13), ჰეივუდი (10); ბაქსტერი (10), ტომასი (6), ბლეიკი (4), ბატლერი (2), ჯეფრისი
დენვერი: მილერი (8), ლენარდი (27), ენტონი (26), ნენე (15), კემბი (4); ბოიკინსი (12), ვაიტი (8), ცქიტიშვილი (6 წუთი, 6 ქულა), ანდერსენი (5), ელსონი (4), დოლიკი (2), ბერი

**მაიამი 100:89 ორლანდო**
მაიამი: ალსტონი (8), ჯონსი (19), კ. ბატლერი (4), ოდომი (16 ქულა, 13 მოხსნა), გრანტი (16); რ. ბატლერი (19), ვეიდი (9), ჰეისლიპი (9)
ორლანდო: ლუ (4), სტივენსონი (18), მაკგრეიდი (26), ჰოვარდი (24), დეკლერკი (1); რუქსი (7), ჰანტერი (5), ბოგანსი (2), პენიჯარი (2), გეინისი, ფაჩულია (1 წუთი, 0 ქულა)

**მემფისი 94:88 სან ანტონიო**
მემფისი: გასოლი (27)
სან ანტონიო: პარკერი (24)

**სიეტლი 92:105 მინესოტა**
სიეტლი: ალენი (37)
მინესოტა: სპრიუელი (31), გარნეტი (29 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ იორკი 84:87 ბოსტონი**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (23)
ბოსტონი: პირსი (23)

**ინდიანა 94:84 ტორონტო**
ძირითადი დრო 81:81
ინდიანა: ონილი (20)
ტორონტო: კარტერი (28)

**ჩიკაგო 81:89 ფილადელფია**
ჩიკაგო: კარი (18)
ფილადელფია: ტომასი (22)

**ჰიუსტონი 90:85 კლიპერსი**
ჰიუსტონი: ფრენსისი (24)
კლიპერსი: მეჯიტი (26)

**საკრამენტო 96:92 გოლდენ სტეიტი**
საკრამენტო: კრისტი (23)
გოლდენ სტეიტი: დამპიე (26 ქულა, 18 მოხსნა)

ამის ეშინოდა „დენვერ ნაგიტსის" მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკს. თავის შეგირდებს ლამის ეხვეწებოდა, ბევრი არ წააგოთ, თორემ სამსახურიდან გამაგდებენო, ყველა თამაშში მოგებაზე იწევდა და მაქსიმალურად ტვირთავდა ლიდერებს.

„დენვერის" ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი იმას ჩიოდა, სათადარიგოებს ზედ არ გვიყურებს, ძირითადებს კი ყოველდე 40-40 წუთი თამაშით ტყავი სძვრებათო. კაცმა რომ თქვას, ვინ არის ჯეფ ბზდელიკი? „დენვერამდე" ბევრიც არავინ იცნობდა, ნბა-ს გუნდის სათავეში ფაქტობრივად არსაიდან მოვიდა, ნბა-ს დიდი სახელები დასცინიან და ექილიკებიან. რა გასაკვირია, რომ დევნის მანიის მაგვარი სჭირს...

სრული დატვირთვით მომუშავე მისმა უცვლელმა ხუთეულმა ნახევარი სეზონი გაძლო, მერე კი გადაიწვა. „ნაგიტსმა" ბოლო 9 თამაშიდან 8 წააგო და დასავლეთში მერვე ადგილს და შესაბამისად ბოლო 9 წელიწადში პირველი საპლეიოფო საგზურის დაკარგვა დაემუქრა. ასეთი ფაქტებით ბზდელიკი კი არა, ლენი ვილკენსი და ჯორჯ კარლი წააგებდნენ თავს.

ბზდელიკი ჯერ რჩება პოსტზე. გუშინწინ მან რამდენადმე უგანა „პრინციპებს" და სუსტ „ვაშინგტონთან" 12-ვე მოთამაშე დაასაქმა. როგორც ხედავთ, ამით საქმე არ გაფუჭებულა, „ნაგიტსმა" 30 ქულით მოიგო გასვლა და ძირითადებმაც შედარებით ამოისუნთქეს. ჩვენ კი ქართული გადასახედიდან ვთქვათ, 12 დენვერელიდან ნიკა ცქიტიშვილს ყველაზე ცოტა დრო ერგო. ამის მიუხედავად, ცქიტიშვილმა 6 წუთში ექვსი ქულა ჩააგდო (სამი ორიანიდან ორი და ორივე საჯარიმო) და სათადარიგოებში მხოლოდ ჯუჯა ბოიკინსს (165 სანტიმეტრია) და როდნი ვაიტს ჩამოუვარდა. ცხადია, ეს არც ისე მყარი არგუმენტია იმისთვის, რომ ყოველდღე 25 წუთი უბოძონ. ცქიტიშვილი ამის ნახევარზეც თანახმა იქნებოდა. კაცი უსაქმურობითაც ილლება და მერე ფუჭდება.

ხოლო მეორე ქართველ ზაზა ფაჩულიას იმ დღეს „მაიამისთან" რამდენიმე წამი თუ ერგო. ოქმში ერთი წუთი უწერია და რა გასაკვირია, თამაში უქულოთ დაასრულა.

ბზდელიკს შეუძლია, მაგალი ბევრი მემფისელი კოლეგა ჰუბი ბრაუნისგან აიღოს. აი, როგორ უნდა ძირითადებისა და სათადარიგოების რაციონალური გამოყენება. „მემფისის" ლიდერმა პაუ გასოლმა შედეგიანობას უკლო, მისი გუნდი კი თამაშ თამაშზე იგებს — აგერ „სან ანტონიო" დასცა — და ეს მარად უკბილო გუნდი უკვე დასავლეთის ზეოთხეულში მოსახვედრად და პლეი ოფში მოედნის უპირატესობის შესაქმნელად იბრძვის. არადა, მანამდე პლეი ოფს სიზმარში თუ ხედავდა. ვინ დაობს, რომ პაუ გასოლი „მემფისის" საუკეთესო მოთამაშეა? არავინ, ეგაა, ბზდელიკი თავის ლიდერის კარმელო ენტონის ძალას და ენთუზიაზმს ბოლომდე ხარჯავს, ბრაუნი კი გასოლსაც და სხვებსაც მომჭირნედ იყენებს.

წლეულს გასოლს გაცილებით მეტი 10-ქულიანი და უფრო ულიმლამო მატჩები ჰქონდა, ვიდრე ვთქვათ, იგივე ენტონის. სამაგიეროდ, მემფისელმა „სან ანტონიოსთან" 27 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება გააკეთა.

**კოტე ყორშია**

რაგბი

# რუსებს ფეხით ვურტყით

## პროფესიული რჩევა: რაგბი პროფესიად გავიხადოთ

*ბობა კვინიხიძემ ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე რუმინეთთან თამაშზე აალაპარაკა რაგბის გულშემატკივრები, როცა შეცვლაზე შემოსულმა კლოდ სორელისთვის „გამოუსადეგარმა“ მოთამაშემ კარგად გამოიყენა მომენტები და ჯიგრითაც შეუტია მეტოქეს. ამ თამაშის შემდეგ ყველას უკვირდა, თუ რატომ არ სწყალობდა გურუ „ლოკომოტივის“ 10 ნომერს, თუმცა სორელს თავისი პრინციპები ჰქონდა. და, როგორც ამბობენ, ჯიუტადაც იცავდა მათ. როცა სორელი ნაკრებიდან წავიდა, ახალმა თავკაცებმა მისცეს შანსი სორელის მიერ „დაჩაგრულ“ მორაგბეებს, მათ შორის კვინიხიძეს. ბობამ პორტუგალიასთან და ესპანეთის ნაკრებთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, რუსეთთან კი კვლავ პალიკო ჯიმშელაძე დააბრუნეს*

**— თავდაპირველად ის გვითხარი, რატომ არ გწყალობდა სორელი?**

— ტენდენციური რომ იყო, ყველა ხედავდა. ძალიან ბევრი მორაგბე ჰყავდა იგნორირებული წლების მანძილზე, იგი მხოლოდ თავის „ფავორიტებს“ სწყალობდა.

**— ახლანდელ ნაკრებშიც იგივე სიტუაცია ხომ არ არის?**

— არა, ეს მწვრთნელები ძალიან კარგად იქცევიან, რომ ყველა მოთამაშეს ცდიან.

**— სჭირდება ოთხი მწვრთნელი ნაკრებს?**

— არა. იმედი მაქვს, რომ მომავალში შეიკვეცება. მსოფლიოში არც ერთ ნაკრებს არ ჰყავს ოთხი თავკაცი.

**— ფიზმომზადების სპეციალისტი რატომ არ გვყავს?**

— არ ვიცი, თუმცა კარგი იქნებოდა, გვყოლოდა. მსოფლიოში ყველა ნორმალურ ნაკრებს წვრთნის ფიზმომზადებაში პროფესიონალი.

**— პორტუგალიასთან რატომ ვერ მოვიგეთ?**

— ამდენი შეცდომა ერთად მე მგონი მთელი ქართული რაგბის ისტორიაში არ დაუშვია ჩვენს ნაკრებს. დიდი უპირატესობა გვქონდა, განსაკუთრებით პირველ ნახევარში. ხუთი სალელოვე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ერთიც მსაჯმა არ ჩაგვითვალა.

**— ამ თამაშზე ძალისმიერ რაგბიზე კეთდებოდა აქცენტი...**

— ვფიქრობ, რაღაცით გაამართლა. დავშალეთ პორტუგალიელების დაცვა, 10 ფაზას ვაბამდით ერთმანეთს და საბოლოოდ კი ბურთს ვკარგავდით. ის იყო ჩვენი დიდი შეცდომა, რომ ვერ ვასრულებდით ჩანაფიქრს. თავიდანვე ხელით თამაშს ვანიჭებდით უპირატესობას და ფეხს არ ვურტყამდით.

**— რატომ?**

— ხელით სწრაფ გათამაშებას ვახორციელებდით და ფეხი რომ ვერ გამოვიყენეთ, ძალიან შევცდით. სწორედ რუსეთთან გამოჩნდა, რომ ფეხით თამაშმა უფრო კარგი შედეგი გამოიღო.

**— ესპანეთთან რა დაგემართათ?**

— ესპანეთთან ნაკლები უპირატესობა გვქონდა, ვიდრე პორტუგალიასთან. ბევრი დერეფანი წავაგეთ, ქარმაც შეგვიშალა ხელი. შერკინება სამჯერ დაძრა მოწინააღმდეგემ, უამრავი ბურთი დავკარგეთ. სამი-ოთხი სალელოვე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ესპანელებს კი ბურთის დამიწების შანსიც კი არ ჰქონდათ. ვფიქრობ, 20-25 ქულით მაინც უნდა დავწინაურებულიყავით.

**— როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე?**

— ტექნიკური წუნი იყო დიდი, არ გვაქვს ისეთი მაღალი დონის ტექნიკა, რომ ბოლომდე დაგვეგვირგვინებინა ჩანაფიქრი.

**— მატჩების წინა შეკრებებზე ხომ კარგი პირობები გქონდათ?**

— კი, საკმაოდ. კვება ნორმალურია, კარგ სასტუმროში მოგვათავსეს და მწვრთნელებიც ნაყოფიერად მუშაობდნენ.

**— ბურთით თავიდანვე ვარჯიშობდით?**

— პორტუგალიის წინ ერთი თვით ადრე დავიწყეთ ბურთით ვარჯიში.

**— გვიანი ხომ არ იყო?**

— ცოტა ადრე რომ დაგვეწყო, უკეთესი იქნებოდა.

**— რაც შეეხება რუსეთს, თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდი თვალს. რა აზრის ხარ?**

— დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვიგებდით. როგორც ყოველთვის, ახლაც ვაჯობეთ „დათვებს“, თუმცა რომ ვთქვა, თვალსასეირო თამაში იყო-მეთქი, მოგატყუებთ. სულ ფეხზე იყო აქცენტი. რუსებმა ვერ გამოიყენეს ბევრი მომენტი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ტექნიკურადაც მოიკოჭლებენ.

**— რუსებს საკმაოდ კარგად იცნობ, თამაშობდი რუსეთში...**

— 2000 წელს, ერთი სეზონი „კრასნი იარში“ გავატარე და რუსეთის ჩემპიონიც გავხდი. იმ გუნდიდან დღევანდელ ნაკრებს 6 კაცი ჩამოჰყვა. ოთხი ძირითად შემადგენლობაში იყო, ორიც კი შეცვლაზე.

**— როგორ შეადარებით რუსულ და ქართულ ჩემპიონატებს?**

— იმათ პირობები ბევრად უკეთესი აქვთ. გინდ მატერიალურად, გინდა მოედნების თვალსაზრისით მათთან სრული კომფორტია. არანაირი პრობლემა არ არსებობს, ივარჯიშე და ყველაფერი იქნება. თანაც პროფესიონალები არიან.

**— მაინც რაში გამოიხატება მათი პროფესიონალიზმი?**

— ორჯერ ვარჯიშობენ კომფორტულ მოედანზე, შესაბამის ანაზღაურებასაც იღებენ, როგორც გუნდში, ასევე ნაკრებში. ჩვენთან კი არც ერთ გუნდს არა აქვს ხელფასი ერთი ორის გარდა. ისინიც სასაცილო თანხებს იღებენ, კვებისთვისაც კი არ ჰყოფნით. მოედანზე ხომ ზედმეტია საუბარი. ჩვენთან ნაკრების მოთამაშეებს არათუ ხელფასი, არამედ მოგებულ თამაშზე გასამრჯელოც კი არა აქვთ. სანამ რაგბი აქ სამოყვარულო დონეზე იქნება და მოთამაშეებს არ მიექცევათ სათანადო ყურადღება, მანამდე ზედმეტია რამეზე საუბარი. ასე კი, რაც დღეს ხდება, ჩვენ ფრთებს ვერ გავშლით.

**— და გამოსავალს რაში ხედავ?**

— სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება ჩვენს ჩემპიონატს. თუ შიდა ჩემპიონატი გაძლიერდება, ფუძეც გაუმტკიცდება ეროვნულ ნაკრებს.

**— ჩეხებთან გათამაშებენ თუ კვლავაც ახალბედებს გამოცდიან?**

— ზუსტად ვერ გეტყვით. თუ დამიძახებენ, მზად ვარ ვითამაშო.

**ნინო ლეჟავა**



ბობა კვინიხიძე თავის რიგს დიდხანს ელოდა

ნინო ლეჟავას ფოტო

ჩოგბურთი

# რუსები მოდიან

## რაც ბორისმა მოაწოდა



მარია შარაპოვა



ანასტასია მისკინა

**იმის შედეგად**, რომ ქალთა ზეთხუთმეტეულში უკვე ადგილთა მესამედი ეკუთვნის, ხოლო ზეორმოცდაათეულში — მეხუთედი, რუსული საჩოგბურთო ძერჟავა ლამის ამერიკისაზე უფრო ზორბა და ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს.

ანასტასია მისკინა — რუსქალთაგან პირველი, ვინაც რეიტინგსიის უზენაეს ხუთეულამდე აღზევება შეძლო — ამბობს, რომ მსოფლიო კორტებზე სკვითური ტალანტის ასეთი ბითუმი ამოფრქვევა მთლიანად რუსეთის პირველი პრეზიდენტის, ბორის ელცინის დამსახურება უნდა იყოს.

„დიახ, ეს მან შეცვალა ყველაფერი — ჰყვება მისკინა — ეს სწორედ მან ამოათრია რუსული ჩოგბურთი არარაობიდან. მისი წაბაძვით ხალხი და, ცხადია, უმთავრესად პოლიტიკოსები თუ მსხვილი ბიზნესმენები კორტებს მიაწყდნენ. ამას სპორტში დიდი ფულის დაბანდება მოჰყვა და ქვეყანა მდიდარი საჩოგბურთო კლუბებით აივსო. ძლიერი მეჩოგნეების გამოჩენა და ტურნირების მოგება მხოლოდ დროის ამბავიღა იყო.“

და ეს დროც ნელ-ნელა დგება. საამკვირაო რეიტინგსიის ზეოცეულში რუსებს ხუთი ანუ იმდენივე ქალმეჩოგნე ჰყავთ, რამდენიც ამერიკელებს. ხოლო თუკი სიას ზეთხუთმეტეულზე გავკვეთთ, რუსთა ხუთეულის წილ ამერიკელები მხოლოდ ოთხ მეჩოგნეს მოიძევენ — ტრავმის მერე ეგრეც ფორმავერაკრეფილი ვინუს უილიამსი ნელ-ნელა ზეპური ამქრის სარდაფისკენ ცურდება.

მისკინას (5), ელენა დემენტიევას (8), ვერა ზვონარიოვას (11), ნადია პეტროვასა (12) და სვეტლანა კუზნეცოვას (14) ნელ-ნელა ჩოგნებს უბავენ მარია შარაპოვა (24), ელენა ბოვინა (30), დინარა საფინა (32) და ლინა კრასნორუცკაია (37). ვეტერან ელენა ლიხოვცევას რეიტინგსიაში მე-40 ადგილი უკავია.

ქალთა ჩოგბურთის უახლესი ისტორია ძვირად იცნობს რომელიმექვეყნელ მდედრთა ასეთ ლიანგურ აღზევებას. 90-იანი წლებიდან ეგებ მხოლოდ ესპანური და გერმანული მინიტალღები მოგვეგონებინა, რომელთაც დასაბამი, შესაბამისად, არანჩა სანჩეს ვიკარიომ და შტეფი გრაფმა დაუდეს. იყო ასევე პერიოდიც, როდესაც ზეათეულის ოთხი ადგილი ფრანგ ქალებს ეპყრათ. ალბათ მომავალში ასევე გაიხსენებენ ჟუსტინ ენენ-არდენისა და კიმ კლაისტერსის „ბელგიურ იერიშსაც“.

რუს ქალებს კი ასე ბითუმად არასოდეს უვარსკვლავიათ — 70-იან წლებში მათგან მხოლოდ ოლგა მოროზოვა გამოირჩეოდა, 80-იანებში ნატაშა ზვერევა.

ელცინისეული ეპოქის პირველი ნაყოფი კი ანა კურნიკოვა იყო, ვინაც 16 წლისამ 1997 წლის უიმბლდონობაზე ნახევარფინალს უწია. კურნიკოვას მაგალითმა მრავალი შეძლებული რუსი დაარწმუნა იმაში, რომ ჩოგბურთი მათი შვილებისთვის შეიძლებოდა ფინანსური კეთილდღეობის წყაროდ ქცეულიყო.

და მართალია სექსანას დღემდე არაფერი მოუგია და დიდი მეჩოგნის ნაცვლად ჩოგბურთის სექსსიმბოლოდ ჩამოყალიბდა, მის კვალს მიყოლილმა რუსმა გოგოცუნებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს.

ამიტომაც ბორის ელცინთან ერთად ანასტასია მისკინა არც ანა კურნიკოვას უკარგავს ამაგს.

„ელცინმა კორტზე სპონსორები და მეფულეები მოიზიდა, მაგრამ ანა იყო პირველი, ვინც საკუთრივ კორტზე შეცვალა ბევრი რამე და იქ ჩადებული ფულის უკუგება დაიწყო.“

**ლევან ძელაურაძე**



# თავისუფალი სელექცია


რევაზ მინდორაშვილი

**მარტსა** და აპრილში თურქეთი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ორ დიდ ტურნირს უმასპინძლებს. უახლოეს უქმეებზე ანკარაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართება, 40 დღეში კი ევროპის ჩემპიონატია.

ოლიმპიური ლიცენზიების გათამაშება უკვე დამთავრებულია. აგვისტომდე დარჩენილ შეჯიბრებს საქართველოს ნაკრები ათენისთვის მზადების ეტაპებად გამოიყენებს. მწვრთნელები საქმეს ფრთხილად უდგებიან და საბერძნეთში წამსვლელთა აქედანვე დატვირთვას ერიდებიან. ოლიმპიადამდე თითოეულ სპორტსმენს ოდენ სამ-ოთხ ტურნირს აკმარებენ.

მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა გია გალდავამ საანკარე განაცხადში მხოლოდ ორი ლიცენზიანი, ოთარ თუშიშვილი (66კგ) და რევაზ მინდორაშვილი (84კგ) შეიყვანა. მათ მხარდამხარ ნაკრების ექვსი კანდიდატი იჭიდავებს.

თერთმეტკაცა დელეგაცია, რომელშიც მეორე მწვრთნელი დავით ხურცია და მსაჯი გელა ჯანელიძეც მოხვდნენ, გუშინ ტრაბზონში, ავტობუსით ჩავიდა და ღამეც იქვე გაათია. დილაადრიან კი ანკარისკენ განაგრძო გზა.

| საქართველოს ნაკრები | |
|---|---|
| 60კგ | ლევან ჩაბრაძე |
| 66 კგ | ოთარ თუშიშვილი<br>შალვა მუზიაშვილი |
| 74კგ | ალექსანდრე პატარქალიშვილი |
| 84კგ | რევაზ მინდორაშვილი<br>მალხაზ ჯორბენაძე |
| 96კგ | თამაზ გეგეშიძე |
| +96კგ | დავით ოთიაშვილი |



# რამაზ ფალიანი პირველი ქამრისთვის მოიქნევს


რამაზ ფალიანი

**ამერიკის** დროით დღეს, 21 საათზე, ჩვენებურად კი ხვალ, გამთენიისას ბალტიმორში დიდი საკრივო შეხლები გაიმართება. ჩვენთვის საინტერესოა რამაზ ფალიანის IBA-ს (ინტერკონტინენტალ ბოქსინგ ესოუშეიშენ) ქამრისთვის ბრძოლა. აქამდე შვიდიდან შვიდი ჩხუბის მომგები ქართველის მეტოქე ამერიკელი მარტეზ „სვით" ლოგენი იქნება.

ლოგენს ანგარიშზე 20 ბრძოლაა. აქედან ცამეტში იმარჯვა, ექვსში წააგო, ხოლო ერთი ფრედ დაასრულა. ამალამდელი ჩხუბი თორმეტრაუნდიანია. არც ფალიანს და არც ლოგენს ამხელა შეხვედრა ჯერ არ გაუმართავთ. რამაზმა შვიდივეჯერ 6-რაუნდიანი იჩხუბა, ლოგენმა კი 10-იანიც მოასწრო.

ბალტიმორულ შეხლებს მძიმე წონის მსოფლიოს კლასიფიკაციების ლიდერების, ექსჩემპიონ ჰასიმ რაჰმანისა და ელ კოულის დაპირისპირება დაასრულებს.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ IBA-ის ჩემპიონის ქამარი შარშან კობა გოგოლაძემ მოიგო. გოგოლაძე, ფალიანები და ქუთაისელი ავთო ხურციძე ფილადელფიაში ერთად ცხოვრობენ და ვარჯიშობენ. როგორც გუშინ თავად კობამ გვითხრა, რამაზს თორმეტრაუნდიანი ჩხუბის ჩატარება არ უნდა გაუჭირდეს. მონდომებას და კარგ მომზადებას რომ თავი დავანებოთ, ამაში თანამემამულეთა მხურვალე მხარდაჭერა დაეხმარებაო. მარტო ფილადელფიიდან და ნიუ იორკიდან თურმე 30-ზე მეტი ქართველი აპირებს საქომაგოდ ჩასვლას.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# რეინჯერსმა თავი გაცვალა

**სწორედ** ამას ველოდით, ტრეიდების ციებ-ცხელებამ მწვერვალს ფინიშზე უწია — 9 მარტის 15 საათამდე დარჩენილ დროში უამრავი გაცვლა განხორციელდა, რომელშიც რამდენიმე სახელიანი მოთამაშე მონაწილეობს.

ყველაზე მნიშვნელოვანი 41 წლის კაროლინელი რონ ფრენსისის „ტორონტოში" გადასვლაა. ვეტერანმა წლეულს ორი მიღწევა იზეიმა, ლიგის მეოთხე ბომბარდირი და მეორე მეპასე გახდა (თვით გორიდ ჰოუს გაუსწრო პასების რაოდენობით), თუმც ნებისმიერი მოთამაშისთვის მთავარი მაინც სტენლის თასია და „ნეკერცხლებს" რიგებში გადასვლით მას შანსი მიეცა, ერთგვარი ჰეთ თრიქი შეასრულოს კარიერის მიწურულს. იგი „პიტსბურგთან" ერთად ორჯერ გახდა თასის მფლობელი, 1991 და 1992 წლებში.

„ტორონტომ" ვეტერანი მცველი კალე იუჰანსონიც შეიძინა. შვედმა შარშან თითქოს დაასრულა კარიერა და ტელევიზიაში მოღვაწეობდა სამშობლოში, მაგრამ კანადურ კლუბს უარი ვერ უთხრა.

სპეციალისტთა აზრით, „დედლაინმა" დიდი სარგებლობა მოუტანა „კოლორადოსა" და „ვანკუვერს". „ეველანშის" გენერალურმა მენეჯერმა პიერ ლაკრუამ კვლავ გონივრული და კონკურენტთათვის მოულოდნელი გაცვლები განახორციელა. მთავარი „ედმონტონის" მეკარე ტომი სალის შეძენაა. მართალია, დავიდ ებიშერი წლეულს საუცხოოდ ასპარეზობს, მაგრამ ეს მისი პირველი სრული სეზონია და რადგან შვეიცარიელ გოლკიპერს პლეი ოფის გამოცდილება არა აქვს, სალიმ სწორედ სულზე მოუსწროთ. „კოლორადომ" ასევე ცენტრფორვარდი კრის გრეტონი („ფინიქსი") და ცნობილი ინტრიგანი მეტიუ ბარნაბიც („რეინჯერსი") შეიმატა, რითაც კლუბმა პრაქტიკულად ყველა ხვრელი ამოავსო. საინტერესოა, რომ შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდში 10-ზე ნაკლები მოთამაშეღა დარჩა.

„ვანკუვერს" ორი ახალი შედეგიანი ფორვარდი ჰყავს — ჯეფ სენდერსონი („კოლუმბუსი") და მარტინ რუჩისკი („რეინჯერსი"), ასევე ვეტერანი მცველი მარკ ბერუევენი („პიტსბურგი"). ამის წყალობით გუნდის ისედაც სწრაფი და მობილური შეტევა მთლად რეაქტიული გახდება. თუმც ნუ დავივიწყებთ, რომ შეიძლება, „ვანკუვერს" პლეი ოფში ტოდ ბერტუცი დააკლდეს.

„დეტროიტისა" და „ნიუ ჯერსისგან" კი გაცილებით მეტს ელოდნენ. ჯერჯერობით უცნობია, პლეი ოფამდე შეძლებს თუ არა დაბრუნებას ჩემპიონის ლიდერი, მცველი სკოტ სტივენსი, რომელიც შაკიკმა გააწამა. სამშაბათს კიდევ ერთი წამყვანი უკანახაზელი, ბრაიან რაფალსკი დაშავდა. თუმც ეს უკვე „დედლაინის" შემდეგ მოხდა და „ნიუ ჯერსიმ" კვალიფიციური მცველი ველარ მოიძია.


რონ ფრენსისი

„დეტროიტის" ახალშეძენილი ვარსკვლავი რობერტ ლანგი კი ჯერ კიდევ ორშაბათს დაშავდა, მაგრამ „წითელფრთიანებმა" „დედლაინით" სათანადოდ ვერ ისარგებლეს. თუმც იმედი აქვთ, რომ ლანგი, ისევე როგორც მანამდე ტრავმირებული რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, პლეი ოფამდე გამოჯანმრთელდება.

ვინც გულდასმით ადევნებდა თვალს წინასადედლაინო ვნებათაღელვას, დაგვეთანხმება, რომ ზედიზედ მე-7 სეზონია, პლეი ოფს მიღმა დარჩენილმა „რეინჯერსმა" არნახული აქტიურობა გამოიჩინა და ლიგის ყველაზე მდიდარი კლუბისგან საშუალოებში გადაინაცვლა. გენერალურმა მენეჯერმა გლენ საზერმა რვა დღეში რვა (!) გაცვლა მოახდინა და ლამის განახევრა გასავალი. მას ოდნავ ჩამორჩა „ვაშინგტონი", ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლოს მეკარე ოლაფ კოლციგს ველარ შეელია.

## რეგულარული ჩემპიონატი

— 9 მარტი —

**ტორონტო 5:0 ფლორიდა**
*2:0 0:0 3:0*
1:0 ნოლანი (6), 2:0 რობერტსი (11), 3:0 სტეიჯენი (45), 4:0 ნუინდაიკი (52), 5:0 რობერტსი (54)

**სან ხოსე 3:4 მინესოტა**
*1:2 0:2 2:0*
1:0 კოროლიუკი (2), 1:1 ჯონსონი (12), 1:2 ჰენრი (17), 1:3 მიხალეკი (29), 1:4 დეიგლი (30), 1:4 ჰენანი (45), 3:4 კოროლიუკი (55)

**ნიუ ჯერსი 1:3 ფილადელფია**
*0:1 0:1 1:1*
0:1 რეკი (19), 0:2 იუნსონი (22), 1:2 სტივენსონი (43), 1:3 ლეკლერი (60)

**პიტსბურგი 4:0 დალასი**
*1:0 2:0 1:0*
1:0 სიმი (7), 2:0 ბრედლი (30), 3:0 მოროზოვი (32), 4:0 ისტვუდი (51)

**ნეშვილი 2:3 ბოსტონი**
*0:1 1:0 1:2*
0:1 ტორნტონი (4), 1:1 ჯონსონი (21), 1:2 კნუბლი (50), 2:2 სალივანი (58), 2:3 ტორნტონი (59)

**სენ ლუისი 3:2 ბუფალო**
*0:0 1:1 1:1 1:0*
1:0 ტკაჩუკი (21), 1:1 პერიში (29), 2:2 ბეტსი (42), 2:2 ხავანოვი (46), 3:2 დემიტრა (62)

**ლოს ანჯელესი 3:2 ფინიქსი**
*1:0 1:2 1:0*
1:0 არმსტრონგი (11), 2:0 ფროლოვი (32), 2:1 კომნი (36), 2:2 დოუნი (38), 3:2 რობიტაილი (57)

**ატლანტა 0:2 რეინჯერსი**
*0:1 0:0 0:1*
0:1 იაგრი (20), 0:2 ჰოლიკი (60)

# თითზე ნუღარ იკბენ
## ბერტუცის ციხე ემუქრება

**ეგებ** ახლა ტოდ ბერტუცი ნანობს კიდეც, ტვინი რომ გადაეკეტა და ასე სასტიკად მოექცა თავის კოლორადოელ კოლეგა სტივ მურს, მაგრამ უკვე გვიანაა. შეიძლება ათწამიანი გავეშება ძალიან ძვირად დაუჯდეს „ვანკუვერის" ფორვარდს. ოთხშაბათს ლიგა გულდასმით განიხილავს ინციდენტს და თავის ვერდიქტს გამოიტანს. სავსებით შესაძლებელია, ბერტუციმ ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია მიიღოს, იმგვარი, 2000 წელს მარტი მაკხორდის რომ მიუსაჯეს. მაშინ სახელგანთქმულმა „პოლიციელმა", რომელიც თავის დროზე უეინ გრეცკის პირადი მცველი იყო ყინულზე, „ვანკუვერში" მოთამაშე დონალდ ბრაშირს ყვანჯი ჩასცხო თავში და 18-თვიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი. ამით დასრულდა მაკხორდის კარიერა. შესაძლოა ბერტუციც ამ დღეში აღმოჩნდეს.

ორშაბათს „ვანკუვერის" პოლიცია ამ საქმის გამოკვლევა დაიწყო და არ არის გამორიცხული, ჰოკეისტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღძრას...

ინციდენტმა დიდი აურზაური გამოიწვია ლიგაში. თავად ბერტუცის არაფერი უთქვამს, მაგრამ სამშაბათს ლამის ყველა მისმა პარტნიორმა და სხვა ჰოკეისტებმაც გამოთქვეს აზრი.

გუნდის გენერალურ მენეჯერ ბრაიან ბურკის თქმით, ბერტუცი იმდენად დათრგუნულია, რომ ვერც კი შეძლო გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოსვლა. „ახლა რომ ნახოთ, რა დღეშია ტოდი, თავადაც შეგეცვლებათ მასზე აზრი" — თქვა ბერტუცის თანაკლუბელმა ტრევორ ლინდენმა, თუმც სხვა გუნდების ჰოკეისტებმა დაგმეს ტოდის საქციელი. მაგალითად, კალგარელ მოჩხუბარ კშიშტოფ ოლივას თქმით, ეს ჰოკეი კი არა, ერთობ მდაბალი საქციელია, ყველაზე საცოდავი კი თავად სტივ მურია. კოლორადოელი ამჟამად ვანკუვერის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იმყოფება. დიაგნოზი არასანუგეშოა: კისრის მოტეხილობა და ტვინის მძიმე შერყევა. ცხადია, მისთვის სეზონი უკვე დასრულდა და სანამ მურის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, მას დენვერში დაბრუნება აეკრძალება.


ტოდ ბერტუცის საქმეს პოლიცია იძიებს





REUTERS ნიუ იორკიდან

# სწრაფკანი

საცურაო სამოსის ცნობილმა ფირმამ „სპიდომ“ თავისი ახალი სამოსი „ფასთსკინი“ (სწრაფკანი) ჩემპიონებს ლენი კრაიზელბურგსა და ამანდა ბერდს მოარგო და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ეს არის დღევანდელი მსოფლიოს უსწრაფესი საცურაო სამოსი და ათენის ოლიმპიადაზე მოცურავეთა უმრავლესობას სწორედ ეს კოსტიუმები ეცმევათ.



REUTERS ჰავანიდან

# ეს გოგოები

ეს, რა თქმა უნდა, ჰავანაა: სხვაგან სად ნახავ დიდი რევოლუციონერის ერნესტო „ჩე“ გევერას ამხელა პორტრეტს. ესენი კი, რა თქმა უნდა, კუბელი ფრენბურთელი გოგონები არიან, როსირ კალდერონი (მარცხნივ) და ნენსი კარილო, რომლებსაც სავარჯიშოდ მიუხარიათ. ბარსელონის, ატლანტის და სიდნეის ოლიმპიური თამაშების ზედიზედ ჩემპიონები, კუბის ფრენბურთელი გოგონები საათენოდაც მხოლოდ გამარჯვებას გეგმავენ, მანამდე კი რამდენიმე ტურნირშიც წაითამაშებენ.

# საპრეზიდენტო მუშტი

ფილიპინების პრეზიდენტი გლორია მაკაპაგალ-აროიო თავის პატარა მუშტს აზომებს ფოტოაპარატებს. არც გასაკვირია — მანილის საპრეზიდენტო სასახლეში ფედერაციის (იბფ) როჭოს წონის მსოფლიო ჩემპიონი მენი პაკიაო სტუმრობს თავის ქამრითურთ.



REUTERS მანილიდან




REUTERS ციურიხიდან

# საიუბილეო მარკები

შვეიცარიის საფოსტო სამსახურმა ახლახან ორი მარკა გამოუშვა, მარკების პრეზენტაცია შვეიცარიულ ქალაქებში, ნიონსა და ციურიხში გაიმართა. ნიონში, უეფას დიდმოხელემ, ლარს კრისტიან ოლსონმა ამ მარკით შეგვახსენა, რომ უეფა ნახევარი საუკუნისა მოყრილა, ციურიხში კი ზეპ ბლატერმა ფიფას ასწლოვან იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებათა სია გამოაქვეყნა.




REUTERS ნიონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შლამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge